სარბიელი



სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 ივნისი 2006 №135 (2757) ფასი 50 თეთრი

AFP ფოტოგადაღებიდან

გერმანიამ პოლონეთი შტურმით აიღო და პლეი ოფის საზღვარს მიადგა

შევჩენკორიდა: მოულოდნელი საყასბო

AFP ლიბერტიდან

4:0

ესპანელებმა ჩვენი ჯგუფელი ცხვარივით დაჟლეს

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

A ჯგუფი. II ტური

AFP დორტმუნდიდან

AFP დორტმუნდიდან

პოლონელებს და მათ ყოჩაღ მეკარე არტურ ბორუცს მესამე მატჩი ფორმალობად ექცათ

გოლი ვერ გაგაქვთ? გოლი ვერს გააქვს!

ბოლო წუთის გერ-მანია

როგორ არის ნათქვამი? თუ არ ვცდებით, გარი ლინეკერის სიტყვებია — ფეხბურთი ის თამაშია, რომელშიც ორი გუნდი მონაწილეობს და ბოლოს გერმანია იგებს.

ეჭვი ეპარება ვინმეს?

გეთანხმებით, პოლონეთის ნაკრებმა, რომლისთვისაც მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩი ფორმალობადღა დარჩა, მასპინძლებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია და იყო სხვა ჩასანიშნ-შესანიშნავი მომენტებიც, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი გერმანელთა გერმანულმა დაჟინებამ და მოედანზე ბოლოს შესული ოლივერ ნოივილის ტრიუმფალურმა გოლმა დაჩრდილმა. ნოივილის გოლის წუთს ნუღარ იკითხავთ...

თუმცა, რა კითხვა უნდა იმას, რაც წუხელ ყველამ ნახა. ეს გახლდათ მსჯის წამატებული დრო, როდესაც არაგერმანელები მეტწილად ხელჩაქნეულნი და ბედს შეგუებულნი მაინც მილასლასებენ ხოლმე მოწინააღმდეგის კარისკენ. გერმანელებმა კი სწორედ მაშინ მოუმატეს სისწრაფეს და დაჟინებას, ნოივილის დარად მოედანზე ახალშესულმა ოდონკორმა მარჯვენა ფრთიდან შეაგდო ბურთი კაცნაკლული და თითქოსდა ანერვიულებული პოლონელების საჯარიმოში, სადაც ნოივილი გაწვა და მოიგო.

და რატომ იყვნენ პოლონელები 91-ე წუთზე განერვიულებულნი? იმიტომ, რომ 90-ზე მარცხნიდან ჩაკიდებულს ჯერ მიროსლავ კლოზემ დაჰკრა თავური და ბურთი ხარიხას გაარტყა, იქიდან ჩამოვარდნილს კი იქვე მიფრენილმა ბალაკმა დაამატა ფეხით და ისევ იმ ადგილს მოახვედრა. ისე, მეორედ ჩამოვარდნილიც გერმანელებს რჩებოდათ, მაგრამ პოლონელებს თამაშგარე მდგომარეობამ მიუსწროთ სულზე.

და ეს კიდევ არაფერი. მანამდე 10 წუთით ადრე პოლონელების მეკარე არტურ ბორუცმა ერთმანეთისგან წამებით დაშორებული ორი გოლისგან იხსნა კარი — ჯერ ფილიპ ლამს აუღო და შემდეგ ნოივილს, რომელიც პენალტის ნიშნულთან ახლოს იმყოფებოდა და თითქოს ანგარიშის გახსნაში მისთვის ხელი აღარაფერს უნდა შეეშალა.

ათი კაცით კი პოლონეთი 75-ე წუთიდან დარჩა, როდესაც რადისლავ სობოლევსკიმ მიროსლავ კლოზე წაიქცია და მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

თუმცა გერმანელების მომენტების ჩამოთვლა ამით არ დაგვისრულებია, რადგან მათ კიდევ ჰქონდათ რამდენიმე შანსი. მაგალითად, მეორე ტაიმის დასაწყისში ტორსტენ ფრინგსის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ვიღაცებს მოხვდა და ბოლოს კლოზეს მიუვიდა, რომლის გასროლილიც ჩინებულმა ბორუცმა მოიგერია.

ორი ეპიზოდი გვაგონდება პირველი ტაიმიდან. 21-ე წუთზე ლამის ჩაწოდებულს კლოზემ დაარტყა თავი და სულ ოდნავ ააცილა მიზანს — მომენტი სწრაფი, დინამიკური და ეფექტური გახლდათ. მსაჯის წამატებულზე კი ლამისავე პასით ლუკაშ პოდოლსკის შეეძლო გატანა, მაგრამ ჩინებული კომბინაცია ბურთის შორეულ ძელთან აცილებით დამთავრდა.

და ამ აღწერების მერე, როგორ გინდა, ის კაცი, რომელმაც თამაშს არ უყურა, ჩვენს მიმოხილვას კი კითხულობს, დააჯერო, რომ მატჩის დიდი მონაკვეთები საკმაოდ უფერული იყო და დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“ შეკრებილმა მაყურებელმა ბუნდესნაკრებს უსტვინა კიდეც. მერედა, გერმანელთა დაცვაში კვლავ შეინიშნებოდა ბზარები, რაც მათ მწვრთნელს იურგენ კლინსმანს სასწრაფოდ აქვს ამოსავსები, თუმცა შეტევის მუხტი მასპინძელ ნაკრებში უთუოდ დიდია და მისი გაძლება რაგინდარა მეტოქისთვის პრობლემა იქნება.

მატჩის შემდეგ მიროსლავ კლოზემ განაცხადა: „ჩვენი გამარჯვებისა ყოველთვის მწამდა და ბოლოს გავარღვიეთ კიდეც მეტოქის დაცვა და კარი. მთავარია მოსმინება. ჩვენ უამრავი მომენტი გვქონდა, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ არ ავღელვებულვართ, ჯიუტად მივიწევდით მიზნისკენ და როგორც ნახეთ, საბოლოოდ მივედით“.

გერმანელთა კაპიტანი ბიბაელ ბალაკი: „კარგად ვითამაშეთ, რადგან მეტოქე მთელი მატჩის განმავლობაში ზეწოლის ქვეშ გვყავდა. თამაშს თავიდან ბოლომდე ჩვენ ვაკონტროლებდით და ბევრი მომენტიც შევქმენით. გვიანი გოლი შეიძლება იღბლის გაღიმებად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ მას ვიმსახურებდით“.

იურგენ კლინსმანი: „ორივე შეცვლა ტემპის კიდევ უფრო გაზრდას ისახავდა მიზნად და მართლაც, ახალშესულებმა თამაშს სიცოცხლე დაუბრუნეს. დღეს მთელმა გუნდმა იბრძოლა და სასურველი შედეგიც მიიღო“.

გერმანია 1:0 პოლონეთი

№17. 14 ივნისი. 23.00. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 65 000 მაყურებელი

1:0 ნოივილი (90)



შეცვლა: ფრიდრიხი – 22. ოდონკორი (64), პოდოლსკი – 10. ნოივილი (71), შვაინშტაიგერი – 18. ბოროვსკი (77), კრჟინოვეკი – 18. ლევანდოვსკი (77), ქევლაკოვი – 17. დუდკა (83), იელენი – 23. ბროზეკი (90)

გაფრთხილება: კრჟინოვეკი (3), სობოლევსკი (28), ბალაკი (58), ოდონკორი (68), მეცელდერი (70), სობოლევსკი (75), ბორუცი (89)

გაძევება: სობოლევსკი (75)

მსაჯები: ლუის მედინა კანტალეხო;
ვიქტორიანო კარასკო, პედრო ერნანდეს მედინა (ესპანეთი)

21	კარიერა	17
10	კუთხური	4
16	კარისკენ დარტყმა	5
8	კარში დარტყმა	3
6	თამაშგარე	2

ბაბუნა კედია

გერმანია	2	2	0	0	5:2	6
ეკვადორი	1	1	0	0	2:0	3
კოსტა რიკა	1	0	0	1	2:4	0
პოლონეთი	2	0	0	2	0:3	0

დღეს. A ჯგუფი. II ტური

ეკვადორი — კოსტა რიკა

ჰამბურგი. „AOL არენა“. 17.00

12. მორა; 4. დე ლა კრუზი, 3. ურტადო, 17. ესპინოზა, 18. რეასკო; 8. ე. მენდესი, 20. ე. ტენორიო, 14. კასტილიო, 16. ვალენსია; 11. ა. დელგადო, 21. კ. ტენორიო
მწვრთნელი: ლუის სუარესი

18. პორასი; 3. მარინი, 4. უმანა, 2. დრუმონდი; 12. ლ. გონსალესი, 8. სოლისი, 10. სენტენო, 20. სეკეირა, 6. დ. ფონსეკა; 11. რ. გომესი, 9. ვანჩოპე
მწვრთნელი: ალეშანდრე გიმარაეში

მსაჯი: კოფი კოჯა (ბენინი)

ჰამბურგი რა დონეა?

ეკვადორს კოსტა რიკასთან მოგებით მერვედფინალში ადგილის განაღდება შეუძლია. ამის გაკეთებას ლუის სუარესის შეგირდები ყველანაირად შეეცდებიან და თუ შეძლეს, საბოლოოდ დაამტკიცებენ, რომ კარგად თამაში, მხოლოდ დედაქალაქ კიტოში ზღვის დონიდან 2,800 მეტრის სიმაღლეზე კი არა, სხვაგანაც შეუძლიათ. მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე ეკვადორს შინ ერთიც არ წაუგია, ხოლო გასვლაზე ოდენ ერთხელ იმარჯვა. ბრაზილიის მთავარმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ კი თქვა, ისინი მხოლო იმიტომ არიან მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომ კიტოში თამაში უწევთო. ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებს, მაგრამ პოლონეთთან გამარჯვების მერე ეკვადორელები ყველას ურჩევენ, დაფიქრდით, სანამ ჩვენზე რამეს იტყვითო.

ლუის სუარესი ჩვეული 4-4-2-ით ითამაშებს. ეკვადორელთა სამ წამყვან მოთამაშეს — ივან ურტადოს, აუგუსტინ დელგადოსა და კარლოს ტენორიოს — მცირე ტრავმები კი აწუხებთ, მაგრამ, ექიმების თქმით, მატჩისთვის სამივენი მწყობრში იქნებიან.

კოსტარიკელებს მარჯვენა მცველი ჟილბერტო მარტინესი რომ დაუშავდათ და მუნდიალზე ვეღარ ითამაშებს, გეცოდინებათ. მას ჟერვის დრუმონდი შეცვლის. ფეხს იტკივებს ნაკრების ლიდერი და მთავარმეგოლე პაულო ვანჩოპეც, მაგრამ ივი აუცილებლად ძირითადში იქნება. ალეშანდრე გიმარაეში შემტევი 3-5-2-ით ითამაშებს.

„ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და დაძაბული მატჩი იქნება. ბევრად უფრო რთული, ვიდრე პოლონეთთან იყო“ — თქვა სუარესმა.

კოსტარიკელთა კაპიტანი ლუის მარინი: „შემტევი თამაში უნდა მოვახვიოთ მეტოქეს თავზე. მჯერა, ბევრი შანსი გვექნება და მათი გამოყენება გვმართებს. გერმანიასთან შეხვედრაში ვერ ვიღოჩაღეთ და ეს გასაგებიც არის, მაგრამ ახლა უნდა შევძლოთ“.

კოკი კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

H ჯგუფი. I ტური

ესპანეთი 4:0 უკრაინა

№15. 14 ივნისი. 17.00. ლაიფციგი. „ცენტრალშტადიონი". 43 000 მაყურებელი

1:0 ხაბი ალონსო (13), 2:0, 3:0 ვილია (17, 48პ), 4:0 ტორესი (81)



შეცვლა: გუსევი – 8. შელაევი (46), გუსინი – 16. ვორობეი (46), ხაბი ალონსო – 6. ალბელდა (55), ვილია – 7. რაული (55), როტანი – 11. რებროვი (64), ლუის გარსია – 18. ფაბრეგასი (77)

გაფრთხილება: რუსოლი (17), იეზერსკი (53)

გაძევება: ვაშჩუკი (47)

მსაჯები: მასიმო ბუსაკა; ფრანჩესკო ბურაჯინა, მათიას არნეტი (შვეიცარია)

11	ჯარიმა	14
7	კუთხური	1
19	ჯარისკენ დარტყმა	5
10	ჯარში დარტყმა	2
0	თამაშგარე	8



AFP ლაიფციგიდან

„ნებისმიერი ანგარიში გვაწყობს, გარდა მარცხისა, თუმცა არც მარცხისგან შევქმნით ტრაგედიას" — ეს სიტყვები უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა თანამემამულე ჟურნალისტს ესპანელებთან მატჩის წინა საღამოს უთხრა. ბლოხინის გასამართლებლად რამდენიმე არგუმენტის მოყვანა შეიძლება, უმთავრესი კი ის არის, რომ ჯგუფის ფავორიტთან დაზოგილი ძალებით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები ტუნისის და საუდეთის ძლევას აპირებენ. თუმცა ძალების დაზოგვასაც გააჩნია. ბლოხინის გუნდი სრულიად უნიათოდ გამოიყურებოდა და პირნიელებს რომ მოენდომებინათ, ერთ ამდენ გოლს კიდევ გაუტანდნენ ალექსანდრ შოვკოვსკის. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად მოხვედრილი

AFP ლაიფციგიდან

დავიდ ვილიამ (№21) შოვკოვსკი ორჯერ დააჩოჭა

გუნდის ასეთი უჯიგრო თამაშის გასამართლებლად ნამდვილად ძნელია არგუმენტის მოძიება...

ესპანელებმა ჩინებული დებიუტი მოიწყვეს. ოთხბურთიანი სხვაობით გამარჯვება თავისთავად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დღევანდელი ესპანეთის ნაკრები აშკარად განსხვავდება ოთხი და თუნდაც ორი წლის წინანდელი წინამორბედისგან — სახელების მაგიერ მის ხელწერას გუნდური თამაში განსაზღვრავს. ამის მიუხედავად, ჩემპიონობის პრეტენდენტთა მარაქაში ესპანელთა შეყვანა ნაადრევი უნდა იყოს — გუშინდელი უკრაინა ფავორიტთა ლაკმუსად ვერაფრით გამოდგება. უკრაინელებს ჯერ სალამი არ დაემთავრებინათ, რომ უკვე მეორედ მოუხდათ მოედნის ცენტრიდან თამაშის დაწყება. მე-4 წუთზე მარკოს სენამ ასე, ოცდახუთიოდე მეტრიდან დაუბრახუნა და ტრიბუნებმა ბურთის კუთხურზე გადამგდებ შოვკოვსკის ოვაცია არ დაამადლეს. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე კი ხაბი ალონსომ იყოჩაღა და ახლო კუთხეში თავით ჩაჭრა ბურთი — 1:0.

ლუის არაგონესს მეტოქის კარზე ერთბაშად სამი ფორვარდი ჰყავდა დაგეშილი. ფერნანდო ტორესი, ლუის გარსია და დავიდ ვილია ისე დასეირნობდნენ უკრაინელთა შორის, აშკარად თავადაც ვარჯიშზე ეგონათ თავი. სლავებს ხშირად წესების დარღვევით უხდებოდათ სიტუაციის განმუხტვა, მე-17 წუთზე დანიშნული მორიგი ჯარიმა კი მეორე გოლად მოუტრიალდათ. დავიდ ვილიამ ჩინებულად დაარტყა, შოვკოვსკი მარჯვენა ცხრიანისკენ გაფრინდა და ეგებ ბურთსაც მისწვდენოდა, რიკოშეტი რომ არა — უკრაინელი მცველისგან აჭრილი ბურთი კარის შუისკენ გაფრინდა. ორბურთიანი ჰანდიკაპი სრულიად საკმარისი იყო საიმისოდ, ესპანელებს თავი ქუდში დაეგულებინათ. ბლოხინის შეგირდთა ჯახირში ფეხბურთის ელემენტები ამის მერელა გამოჩნდა, თუმცა ტაიმის დასრულებამდე ვორონინის ნაკლებსახიფათო დარტყმის მეტი ვერა ვიხილეთ რა.

მეორე ნახევარი ვაშჩუკის გაძევებით და უკრაინელთა კარში დანიშნული პენალტით დაიწყო. აბა, ამით უკრაინელებს რა შეემატებათ, მაგრამ, მომეჩვენა, რომ ამ ეპიზოდში არბიტრმა მეტისმეტი სიმკაცრე გამოიჩინა. პენალტი გოლად დავიდ ვილიამ აქცია — 3:0.

შეხვედრა, რომლისგანაც ფეხბურთის ქომაგი საკმაოდ ბევრს ელოდა, კორიდას დაემსგავსა. მოქანცულ ხარს წინააღმდეგობის გაწევის ილაჯი აღარ ჰქონდა, საკუთარი ღირსების შეგრძნებით აღვსილი ტორერო კი ტრიბუნებს ხელოვნურად უხანგრძლივებდა სიამოვნებას და სიბოლოო დარტყმის მიყენებას არ ჩქარობდა. ბოლო დარტყმა მართლაც ღირსეული გამოვიდა: კომბინაცია მოედნის ცენტრში კარლეს პუიოლმა დაიწყო, გზად ორი კედელი გაითამაშა და დასარტყამ პოზიციაზე ფერნანდო ტორესი მიუშვა. „მილანისთვის" შეგულებულმა მადრიდის „ატლეტიკოს" ლიდერმა ერთი შეხებით დაუსვა შეხვედრას წერტილი.

ჩემპიონატის ჯერჯერობით ყველაზე დიდი სხვაობა, პირველი პენალტი, ესპანელთა ზედიზედ 23-ე წაუგებელი მატჩი... სხვა რა იყო დასამახსოვრებელი? ალბათ საქართველოს ძველი და ახალი სახელმწიფო დროშები, რომლებიც უკრაინის ნაკრების ქომაგ ჩვენს თანამემამულეებს ტრიბუნაზე გადმოეფინათ.

ჰო, მოედანზე ანდრეი შევჩენკოც იყო.

ლუის არაგონესი: „ასეთ ,კარგ დასაწყისს არ ველოდით მგონი იღბალიც ჩვენსკენ იყო, რაკი ორი გოლი სწრაფად გავიტანეთ და თამაში წაგვივიდა. ეს შთამბეჭდავი გმარჯვება თავში არ უნდა აგივარდეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე 4:0 მოგება ძალიან ძნელია, მაგრამ ნათელია, რომ ფეხბურთელებმა იცოდნენ რა როგორ უნდა ეკეთებიათ. ყოველთვის რაღაც აკლდა ხოლმე ესპანეთს დიდ ტურნირებზე და ვფიქრობ, ეს რაღაც ვიპოვეთ. მომდევნო, ტუნისთან აგდებულად არ უნდა მოვეკიდოთ. ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ და ჩემი აზრით, ტუნისი უკრაინაზე ძლიერია.

ოლეგ ბლოხინი: „სირცხვილია არა მხოლოდ წაგება, არამედ ის, რომ ფაქტობრივად უბრძოლველად დავნებდით".

ბიურგი ნოზაძე

ესპანეთი	1	1	0	0	4:0	3
საუდეთი	1	0	1	0	2:2	1
ტუნისი	1	0	1	0	2:2	1
უკრაინა	1	0	0	1	0:4	0

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

H ჯგუფი. I ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაჰმა არაბები მოარიგა

ალ ჯაბერმა 161 სანაკრებო მატჩში 44-ე გოლი მიითვალა

AFP მიუნხენიდან

ტუნისთან მატჩის წინ საუდეთს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის, 21 წლის მოჰამედ ალ ანბარის ტრავმამ განწყობა წაუხდინა — იგი ვარჯიშზე დაშავდა და ექიმების ვარაუდით, სულ მცირე, ერთი თვე ვერ გაეკარება ბურთს...

პირველ ტაიმში არაბები უბარაქოდ დარბოდნენ და მეტოქის კარში ერთადერთხელ დაარტყეს. ერთხელ და საგოლედ დაარტყა ტუნისმაც, რომელიც მთლიანობაში უპირატესობასაც ფლობდა.

აფრიკელთაგან ყველაზე მეტად ზიად ჯაზირი აქტიურობდა და გოლითაც ის გამოირჩა — საუდელთა უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ფრანგული „ტრუას" ფორვარდმა აკრობატულ ნახტომში ამოსცხო — 1:0.

სხვათა შორის, მატჩის პირველ წუთებში ჯაზირი მოცელეს საჯარიმოში, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა.

მაყურებელი მეორე ნახევარში უფრო გახალისდა — ორივე ნაკრებმა საკმაოდ ლაღად ითამაშა და ეს უფრო საუდელების დამსახურება იყო, რომლებმაც ანგარიშის გასათანაბრებლად გაიწიეს და ტემპმაც საგრძნობლად იმატა.

მეტოქის აქტიურობას ტუნისი მშვიდად შეხვდა, დაცვაში ჩადგა და რომ იფიქრებდი, მათ მოგებას თითქმის აღარაფერი ემუქრებოდა, სწორედ მაშინ დაისაჯნენ.

კარიმ ჰაგუის უხეში შეცდომით ჯერ მოჰამედ ნოორს უნდა გაეტანა, მაგრამ კარში დარტყმის ნაცვლად ბურთი ისე გაარიდა საჯარიმოს, ტუნისელ მცველებსაც შეშურდებოდათ. ცოტა ხანში ნოორმა შეცდომა გამოასწორა და ფლანგიდან ჭკვიანური პასით საჯარიმოში შერბენილ იასერ ალ კატანის გაათანაბრებინა — 1:1.

გოლმა საუდელები შეაგულიანა და აფრიკელთა მორიგი უნიათო შეტევის მერე ბრწყინვალე კონტრიერიშიც გამოაცხვეს — შეცვლაზე შესული ვეტერანი სამი ალ ჯაბერი მეკარესთან პირისპირ დარჩა და „მწვანეებმა" გაიხარეს — 1:2.

სხვა რაღა დარჩენოდათ, ტუნისელებმა თამაშის გადარჩენა სცადეს, თუმცა საამისოდ გვარიანი ბრძოლის გადახდა მოუხდათ. მეტიც, ბოლო წუთებზე არაბთა საჯარიმო დარტყმა ძელს მოხვდა...

და მაინც: ტუნისელთაგან საუკეთესო ჯაზირი მეტოქის საჯარიმოში შევიდა, რადი ჯაიდის ჩააწოდა და მანაც ზუსტი თავურით დაუსვა წერტილი მატჩს — 2:2.

სამი ალ ჯაბერი: „ბოლოს იღბალმა გვიგანა და სამი ქულა ერთად გადაიქცა. ჯერ არაფერი დასრულებულა. ახლა უკრაინისთვის უნდა მოვემზადოთ. ბოლომდე არ მომშუშებია ტრავმა და სათანადო ფორმაში არ ვარ, მაგრამ მომდევნო მატჩისთვის მზად ვიქნები."

მოჰამედ ამეენი: „მეორე ტაიმში ისე კარგად ვითამაშეთ, რომ, მგონი, უკრაინასთან მოგების შანსი გვაქვს".

მარკოს პაკეტა: „ჩემმა გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა. შესვენებამდე ძალიან ნერვიულობდნენ, მაგრამ მეორე ნახევარში ბიჭებს ფლანგებიდან შეტევა ვთხოვე, რამაც გაამართლა. სამწუხაროა, რომ სამი ქულის ნაცვლად ხელში ერთი შეგვრჩა".

როჟე ლემერი: „სამი ქულა მინდოდა და ერთი ძლივს გამოვგლიჯეთ. თითქოს კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეორე ტაიმში უგულოდ და უყურადღებოდ ვითამაშეთ, რამაც რთულ ვითარებაში ჩაგვაგდო".

ადელ ჩედლი: „ეს კატასტროფაა. თამაშის რიტმი ვერ ვიპოვეთ. არ გამოგვივიდა ის, რაც ჩავიფიქრეთ. ვიმედოვნებ, რომ ესპანეთთან გაცილებით უკეთ ვითამაშებთ".

გიორგი ძაძაბაძე

მატჩის პირველი და თვალსასეირო გოლი ზიად ჯაზირიმ გაიტანა

AFP მიუნხენიდან

ტუნისი 2:2 საუდის არაბეთი

№16. 14 ივნისი. 20.00. მიუნხენი. „ალიანს არენა". 66 000 მაყურებელი

1:0 ჯაზირი (23), 1:1 ალ კატანი (57), 1:2 ალ ჯაბერი (84), 2:2 ჯაიდი (90)

1 ბუმნიჟელი

მწვრთნელი როჟე ლემერი

6 ტრაბელსი, 15 ჯაიდი, 3 ჰაგუი, 18 ჟემალი

13 ბუაზიზი, 12 მნარი

20 ნამუში, 9 შიხაუი

14 ჩედლი, 5 ჯაზირი

20 ალ კატანი, 18 ალ ტემიატი

6 ალ ჯამდი, 14 ხარირი

16 აზიზი, 8 ნოორი

2 დოხი, 4 ალ მონტაშარი, 3 ტუკარი, 13 სულიმანი

მწვრთნელი მარკოს პაკეტა

21 ზაიდი

შეცვლა: ბუაზიზი – 8. ნაფტი (55), ალ ტემიატი – 23. ალ ჰავშავი (67), ჩედლი – 10. გოდბენე (69), ნოორი – 7. ამეენი (75), შიხაუი – 2. ესელირი (82), ალ კატანი – 9. ალ ჯაბერი (82)

გაფრთხილება: ჰაგუი (35), ბუაზიზი (36), ჩედლი (65), შიხაუი (79)

მსაჯები: მარკ შილდი; ნათან გიბსონი, ბენ უილსონი (ავსტრალია)

17	ჯარიმა	12
3	კუთხური	4
6	კარისკენ დარტყმა	13
2	კარში დარტყმა	5
1	თამაშგარე	1

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»

ხელმძღვანელი ქირურგ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად და შედეგით კმაყოფილი დარჩები

• უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
• გარანტირებული შედეგი

HAIRLINE international

ჰეალაინ ინტერნეიშნლ

თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ერთიანული ბიბლიოთეკა

დღეს. B ჯგუფი. II ტური

ორჯერ ორი სამი კი არა, ხუთია

დუაიტ, დააბრუნე ინგლისი ინგლისში!

ინგლისი — ტრინიდადი

ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი“. 20.00

1. რობინსონი; 2. ნევილი, 5. ფერდინანდი, 6. ტერი, 3. ე. კოული; 7. ბექემი, 4. ჯერარდი, 8. ლამპარდი, 11. ჯ. კოული; 10. ოუენი, 21. კრაუჩი მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი	1. ჰისლოპი; 6. ლოურენსი, 5. სანჩო, 8. გრეი, 11. ედვარდსი; 12. სამუელი, 7. ბირჩალი, 18. თეობალდი, 15. კ. ჯონსი; 14. შ. ჯონი, 19. იორკი მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

მსაჯი: ტორუ კამიკავა (იაპონია)

დახეთ, რა უთქვამს ალექს ფერგიუსონს დუაიტ იორკისთვის, ინგლისს თუ მოუგებთ, ძალიან გამიხარდება, ეგებ საერთოდაც გამოვარდნენ ჩემპიონატიდანო.

„ფერგიუსონმა ინგლისთან მოგება მისურვა. დღეს ქულის აღებაც რომ შევძლოთ, დარწმუნებული ვარ, ხვალ სერ ალექსი დამირეკავს. რას ვიფიქრებდი ოდესმე მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ მოვხვდებოდით და ინგლისთან თამაში მომიწევდა. ბექემი და ნევილი ჩემი მეგობრები არიან, ჩვენ ხომ ერთად მოვიგეთ ბევრი ჯილდო და მათ შორის ჩემპიონთა თასი“ — განაცხადა იორკმა, ვისაც დღეს მეგობრების წინააღმდეგ მოუწევს თამაში.

დევიდ ბექემი: „დიდებული კაცია დუაიტი. ისეთი ადამიანია, რომელიც, რაც არ უნდა უჭირდეს, მაინც გაიღიმებს“.

ტრინიდადელებმა უკვე გაიცინეს მსოფლიო შვედებთან ფრით, მაგრამ საეჭვოა, რომ ინგლისელებიც პირშიჩალაგამოვლებული დატოვონ. დღეს მათ არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული მარცხენა მცველი ედერი ჯონი, კარში კი ისევ შაკა ჰისლოპი ჩადგება, ვისაც თავის დროზე „ეფსტ ჰემში“ რიო ფერდინანდთან, ჯო კოულთან და ფრენკ ლამპარდთან უთამაშია.

შტერნ ჯონი: „ცხადია, რომ ინგლისთან უფრო მძიმე მატჩი გველის, ვიდრე შვედებთან გვქონდა, მაგრამ ჩვენც უფრო გულიანად ვაპირებთ თამაშს, ისე, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ხალხმა ტრინიდადსა და ტობაგოზე ილაპარაკოს“.

ლეო ბეენჰაკერი: „შვედებს ჰყავთ და „იუვენტუსის“, „არსენალის“ და „ბარსელონას“ ფორვარდები, ჩვენი თავდამსხმელები კი „ჯილინგემში“, „ფოლკირკში“ და „რექსემში“ თამაშობენ. ჩვეულებრივად, ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ფეხბურთში ორჯერ ორი ხან სამი, ხან კი ხუთი გამოდის“.

სვენ გორან ერიკსონი: „პირველი თამაში ყოველთვის რთულია და, სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ინგლისს დასაწყისში უჭირდა. პარაგვაისთანაც გაგვიჭირდა, მაგრამ რაკი სამი ქულა ავიღეთ, ტრინიდადთან უფრო მშვიდად და უკეთესად ვითამაშებთ“.

ძირითად შემადგენლობაში, ალბათ, კვლავ არ იქნება უეინ რუნი. ერიკსონი შეტევაში ოუენს და კრაუჩს გაამწესებს. აწოწილ კრაუჩს მასსავით მაღალ ტრინიდადელ მცველ დენის ლოურენსთან მოუწევს ჯაჯგური.

ინგლისურ „სანს“ თუ დავუჯერებთ, ერიკსონი შეცვლაზე თეო უოლკოტის შეყვანას აპირებს, რაც ანგარიშზე იქნება დამოკიდებული.

ვაჟა ხუციშვილი



AFP

რუნი ჯერ მხოლოდ ვარჯიშზე დაფრინავს

ზოგი ჩხუბი მარგებელია

შვედეთი კრივმა შემუშტა

AFP

ლიუნგბერგი და მელბერგი ბურთმა შეარიგა

შვედეთი — პარაგვაი

ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“. 23.00

1. ისაკსონი; 2. ნილსონი, 4. ლუკიჩი, 3. მელბერგი, 5. ედმანი; 9. ლიუნგბერგი, 6. ლინდეროტი, 16. კალსტრიომი, 21. ვილჰელმსონი; 10. იბრაჰიმოვიჩი, 11. ლარსონი მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი	22. ბობადილა; 21. კანისა, 5. კასერესი, 4. გამარა, 2. ხ. ნუნიესი; 6. ბონეტი, 10. აკუნია, 13. პარედესი, 16. რივეროსი; 9. სანტა კრუზი, 18. ვალდესი მწვრთნელი: ანიბალ რუისი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

პარაგვაელთა მეკარემ ხუსტო ვილარმა ინგლისთან შეხვედრის პირველსავე წუთებზე იტკინა კანჭი და, სავარაუდოდ, მთელ შეჯიბრებას გამოტოვებს. მასზე ნაკლებად, მაგრამ ასევე კანჭი იტკინა მცველმა დელიო ტოლედომ, რომელსაც ეს ამბავი ორშაბათის ვარჯიშზე შეემთხვა.

რაც შეეხებათ შვედებს, მოგეხსენებათ, პირველი მატჩი მეკარე ანდრეას ისაკსონმა გამოტოვა. მასაც ვარჯიშზე შეემთხვა ხიფათი — მცირე კონტუზია მიიღო, თუმცა ამბობენ, რომ დღეს შვედთა კარს სწორედ ის დაიცავს, თუ არა და რამი შაბანი მზადაა ერთხელაც იტვირთოს ეს საქმე.

ტრინიდადსა და ტობაგოსთან შეხვედრაში იოლად გადარჩა ნახევარმცველი ტობიას ლინდეროტი, რომელმაც მუხლი იტკინა, მაგრამ საბედნიეროდ მსუბუქად.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცხრილში ერთი ჩახედვა-ამოხედვაც საკმარისია, რათა თვალში გვეცეს თუ რა ბედი ელის პარაგვაის წაგების შემთხვევაში. ვფიქრობთ, დაზუსტება არ სჭირდება, რომ საუბარი შინ გამგზავრებაზეა — სამხრეთ ამერიკელებმა პირველ თამაშში ინგლისთან წააგეს 0:1.

„შვედებთან ფაქტობრივად ფინალს ვთამაშობთ, ვინაიდან, წაგების შემთხვევაში ჩანთების ჩალაგება მოგვიწევს — თქვა პარაგვაელთა გუნდში ერთ-ერთმა ყველაზე ნათელმა ფიგურამ, თავდამსხმელმა ვალდესმა და დასძინა — თუ შვედებთანაც ისე ვითამაშებთ, ინგლისელებთან მეორე ტაიმში რომ ვთამაშობდით, ვფიქრობ, ტოლს არავის დავუდებთ“.

ევროპელებს კი პირველი თამაშის შემდეგ თავი, ბუნებრივია უიღბლობის მსხვერპლად წარმოუდგენიათ. კერძოდ, მათი მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი ამბობს, რომ ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრებთან მისმა გუნდმა 26 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. საერთოდ, ლაგერბეკი ყველა ღონეს ხმარობს, რათა მდგომარეობა რაც შეიძლება ოპტიმისტურად წარმოაჩინოს და მისი ფეხბურთელების, ოლოფ მელბერგისა და ფრედი ლიუნგბერგის ჩხუბის ამბავიც კი რამენაირად თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს.

„თუ მათი ჩხუბი გუნდზე რაიმე ზეგავლენას იქონიებს, შწამს, ეს მხოლოდ დადებითი ზეგავლენა იქნება — ამბობს ის და დასძენს, რომ პარაგვაელებთან მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ — დარჩენილ ორ თამაშში ერთი უნდა მოვიგოთ და ერთიც ფრედ უნდა ვითამაშოთ, ან ორივე უნდა მოვიგოთ“.

მწვრთნელზე კიდევ უფრო კატეგორიულია მცველი ერიკ ედმანი, რომელიც ამბობს, რომ მის გუნდს მოგება, მოგება და მხოლოდ მოგება სჭირდება.

პარაგვაელთა მწვრთნელი ანიბალ რუისი: „აუცილებელია, გუნდს შემტევი მარცხენა მცველი ხორხე ნუნიესი დაუბრუნდეს. ის დაზღვევაზე ძალიან კარგად თამაშობს, წინაც მიდის და მომენტებს გვმატებს. ინგლისელებთან თამაშისგან განსხვავებით შვედეთთან ფრთხილად და მორიდებით აღარ უნდა ვითამაშოთ. ჩვენ გვაქვს ჩვენი სტილი და მეტოქეს ის უნდა მოვახვიოთ თავზე“.

დაბოლოს, ორშაბათს პარაგვაის ნაკრებმა ღია ვარჯიშზე შვედი ჟურნალისტები არ დაუშვა. მიზეზი: მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, შვედურ გაზეთებში დაიწერა. თითქოს პარაგვაელი ფეხბურთელები მავან ქალებს უშნოდ ებღლარძუნებოდნენ, რაც სამხრეთ ამერიკელებმა სასტიკად იწყინეს.

პაპუნა კედია

ინგლისი	1	1	0	0	1:0	3
შვედეთი	1	0	1	0	0:0	1
ტრინიდადი	1	0	1	0	0:0	1
პარაგვაი	1	0	0	1	0:1	0

გიო ახვლედიანის სვეტეული

ზიზუ, მიდიხარ?

ზინედინ ზიდანს ძველებურად სწყდება ოფლის წვეთები ნიკაპიდან, ის ძველებურად მხლართველი და ალაგ-ალაგ აღსაფრთოვანებელია, ოღონდ ზინედინ ზიდანი ფეხბურთიდან მიდის იმიტომ, რომ იცის: დრო მოსულა. ის თვითონვე გრძნობს, რომ ძველებურად ველარ გაირჯება, რადგან მოუწია საფეხბურთო პენსიის ჟამმა.

ეს ჟამი ყველას თავისი აქვს და ზიზუსაც მოაკითხა.

გაქრა სისწრაფე და განუმეორებელი მოქნილობა. დარჩა მხოლოდ ძველებურად სხარტი ტვინი და ცნობილი ანდაზა: „აქლემი ისე არ დაეცემა, ვირისა ვერ ზიდოს“. მაგრამ ზიდანს ცოტას ზიდვა არც მოსწონს და არც აინტერესებს. ამ მსოფლიო ჩემპიონატზეც იმიტომაა, რომ ნაკრები უმისოდ მთლად უვარგისი იქნებოდა.

ეს „უვარგისი“ გადამეტებული ნათქვამია, მაგრამ ზიდანი ცალფეხაც კი ძალაა.

რა თქმა უნდა, საფრანგეთი ვერ არის ფავორიტი. ტიერი ანრის გენია ნაკრებში ისე ქრება ხოლმე, რომ ამის მიზეზებზე, მგონი, დისერტაცია დაიწერება. ფრანგები იოლად არავის დანებდებიან, თუმცა ამ გუნდს ძალა არ ეტყობა.

საკვირველია, მაგრამ ამ გუნდში მთავარ კაცად ჯიბრილ სისე იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. სისე, რომელიც „ლივერპულში“ პიტერ კრაუჩის დუბლია და რომელიც ალბათ ტიერი ანრის მეხუთედიც არ არის, საფრანგეთისთვის ის ძალა იყო, თავისი მხარბეჭითა და უტეხობით მეტოქის საჯარიმო რომ უნდა მიენგრ-მოენგრია. ჰოდა, სისე დაიმტვრა. დომენეკი კი არ არის არსენ ვენგერი. ნაკრები კი კლუბი. ტიერი ანრის ერთი გოლი კი ეკუთვნოდა შვეიცარიელებთან, მაგრამ ამ ჩემპიონატზე ხომ პენალტები არ ინიშნება! პირდაპირ საკვირველია, ვინც ამ სეზონში ანრის უყურა, როგორ უნდა მიეჩვიოს იმას, რომ გუნდის შეტევა ანრიზე არ უნდა იყოს აწყობილი?! სად არის ანრის სისწრაფე და სად არის უბრალო პასი, რომელსაც ანრი იღებს ხოლმე და ჯადოსნურ გოლად გარდასახავს? ანტილოპა ბიზონად ვერ იმუშავებს, ბიზონი კი დამტვრეულია.

მოკლედ, ამ საფრანგეთისა არ ვიცი, გული კი მწყდება, რომ ზიდანი მიდის, თუმცა ესეც ჩანს, რომ წასვლის დრო მოსვლია. მთელი წელია ჩანს, მადრიდშიც და სხვაგანაც.

ხუმრობა ნამდვილად არ არის, ზიზუ 1989 წლიდან თამაშობს ფეხბურთს. კარიერა „კანში“ დაიწყო 18 წლისამ და მერეღა მივიდა „ბორდოში“, რომელიც ინტერტოტოდან უეფას თასის ფინალამდე მივიდა. ის ფინალი ბევრს ეხსომება: ჟირონდელები „ბაიერნს“ ხვდებოდნენ და ფრანც ბეკენბაუერმა სწორედ ფინალის წინ მოხსნა ოტო რეჰაგელი, ბუნდესლიგა რათ ვერ მოიგეო. მაშინ ზიზუს თმა ჰქონდა და მე პირადად „ევროგოლის“ მიმოხილვებში ვამჩნევდი. მეჩვენებოდა, რომ ფეხბურთელისთვის მოულოდნელი გარეგნობა ჰქონდა, თუმცა მისი ერთი-ორი მოძრაობა კარგად მახსოვს. საერთოდ, კიდევ მგონია, რომ ზიდანი სწორედ განუმეორებელი მოძრაობა იყო. მთელს თავის საფეხბურთო უნარებს ამ განუმეორებელი მოძრაობებით ავლენდა, ამხელა და ასეთი უცნაურად მოქნილი.

ამ საქმეში ერთი კაცის მოგონებაც უნდა ჩავრთო. „ტოტენჰემის“ სპორტული დირექტორი დამიენ კომოლი ის კაცია, ვისაც ზიზუ ჯერ კიდევ ბიჭობაში უნახავს და, შეიძლება ითქვას, რჩეული ზიდანოლოგია: „არასდროს დამავიწყდება ის დღე, როცა პირველად ვნახე 18 წლის ზიდანი მინდორზე. ეს იყო „კან“ — „მონაკოს“ თამაში. ზიზუ მეორედ თუ მესამედ იყო მოედანზე როგორც პროფესიონალი. ამ თამაშში მან ისეთი გოლი გაიტანა — ძირს დაუშვებელ ბურთზე დარტყმით — როგორიც არც მანამდე და არც მერე მე არ მინახავს. თვითონ კი გაუტანია ასეთები, ვთქვათ ჩემპიონთა თასის ფინალში, მაგრამ იმის მსგავსი არ ყოფილა.

საკვირველი ის იყო, რომ ის გოლი არ ჩაითვალა და ვერავინ გაიგო, რატომ. ეს მომენტი, მისი გიჟური დარტყმა სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

იმ დროის ზიდანისა მახსოვს ბრწყინვალე დებიუტი ნაკრებში, ჩეხების წინააღმდეგ. ის და ლილიან ტურამი ერთად მიიწვიეს ლურჯებში და მახსოვს „ბორდოსგან“ „მილანის“ დამარცხება 3:0-ზე. დანარჩენი ყველამ იცით. დიდი გუნდები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა... ამბობენ, რომ ის სწრაფი არ იყო, მაგრამ ბურთს რომ მიიღებდა, ის სწრაფიც იყო და შეუჩერებელიც. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის წინ მას მთელი გუნდი ეუბნებოდა, რომ მისი პასების იმედი ჰქონდა, ზიზუმ კი ორი გოლი გაიტანა. დიდი ფეხბურთელი? ნიშანიც ეს არის. და კიდევ ის, რომ სხვაზე ხშირად იღებს ბურთს“.

ასეა, ზიზუ ძალიან, ძალიან მაგარი იყო. ძალიან მაგარი. უბრალო სიტყვებია, მაგრამ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობდა ზიზუს ფეხბურთი, რომელიც ალბათ ორიოდ კვირაში დასრულდება. არიან დიდი ფეხბურთელები, რომლებზეც ვერ იტყვი, რომ მათ თავიანთი ფეხბურთი ჰქონდათ. ვთქვათ, კალე რუმენიგე, არა? არ არსებობს რუმენიგეს ფეხბურთი. მისი ფეხბურთი გერმანული ფეხბურთია. ანდა, ვთქვათ, ბობი ჩარლტონი. მისი ფეხბურთი ინგლისური ფეხბურთია. რონალდინიოს ფეხბურთი ბრაზილიური ფეხბურთია და ასე დაუსრულებლად. მაგრამ, აი, გარინჩას ფეხბურთი პირადად გარინჩას ფეხბურთია, ჯორჯ ბესტის ფეხბურთი პირადად ჯორჯისაა და ასევეა ზიზუც. მისი ფეხბურთი არც ფრანგულია, არც მადრიდული და არც კიდევ რაღაც სხვა.

ის ზიზუს ფეხბურთია.

ჰოდა, ზიზუ მიდის.

დაივიწყეთ, რომ მან ხანდახან დაუნდობელი უხეშობა იცოდა.

როგორც ჯორჯ ბესტმა დაიბარა: გავა წლები და მთელი ეს ნაგავი — ჩემი ლოთობა, ჩხუბი და ქალები — გაქრება. მხოლოდ ჩემი ფეხბურთი დარჩება და თუ ერთი კაცი მაინც იტყვის, რომ ერთ საღამოს მსოფლიოში საუკეთესო ვიყავი, მე მეყოფა.

P.S. ცოტათი მიწაზე რომ დავეშვათ, ჯერჯერობით არგენტინა და იტალია მომეწონა. ჩემი ვიწრო გაგებით, აფრიკული გუნდები კარგი ტესტია იმისთვის, რომ მშვიდად ვერ ამოისუნთქო. ხორვატებს კიდევ, ერთი მაგარი თავდამსხმელი რომ ჰყავდეთ...

კოტ დივუარი — ჰოლანდია და ჩეხეთის ბედი იან კოლერის გარეშე: აი, ამბები, რომლებიც მაინტერესებს.

fanaoba@hotmail.com

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ტური დასრულდა და მეორე დაიწყო. ეს ნიშნავს, რომ უკვე შთაბეჭდილებებითაც დაიტვირთეთ და ვარაუდებიც მეტ-ნაკლებად შეამოწმეთ.

და თუ ყველაფერ ამასთან ერთად აზრების გაზიარების სურვილიც გაქვთ და წერაც არ გეზარებათ, სურვილები, პროგნოზები, მოსაზრებები მოგვწერეთ ამ მისამართზე: **fanaoba@hotmail.com**

მოწერა თქვენი, დაბეჭდვა ჩვენი

P.S. გუნდებზე, რომლებსაც არ გულშემატკივრობთ, შეგიძლიათ მსუბუქად იხუმროთ, მაგრამ არაკორექტული გამონათქვამებისგან, გთხოვთ, თავი შეიკავოთ.

პატივისცემით
ვებ-ოსტატი ბუარა

fanaoba@hotmail.com

ტანკის გამგდები ქერა მარადონა



გუდიონსენი მოვიდა...

„ბარსელონამ“ 2006-07 წლების სეზონისთვის პირველი ტრანსფერი განახორციელა. ეიდურ გუდიონსენი, „ჩელსის“ აწ უკვე ყოფილი თავდამსხმელი, მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში „კამპ ნოუზე“ იბურთავებს. ლონდონელებმა და ბარსელონელებმა სამშაბათს გვიან ღამით მოილაპარაკეს და „ქერა მარადონაც“ (ისლანდიელი იანვარში „ვესტ ჰემთან“ სიჩაუქისთვის ჟოზე მაურინიომ ასე მონათლა) 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა „ბარსელონაში“.

გუდიონსენზე, როგორც ჰენრიკ ლარსონის შემცვლელზე რამდენიმე თვეა, რაც გაზეთები წერდნენ. სამშაბათს კი მოსახდენი მოხდა — „ბარსას“ მხრიდან ჩიკი ბეგირისტონმა და ფერან სორიანომ, ხოლო ფეხბურთელის მხრიდან აგენტმა ჟორჟე მენდეშმა ხელი ხელს დაჰკრეს და ისლანდიელიც ბარსელონელი გახდა. მოგახსენებთ, რომ გარიგება ჩაშლის პირას იყო მისული, „ჩელსი“ 15 მილიონს ითხოვდა, კატალონიელები კი ისლანდიელში ოდენ 10-ს იხდიდნენ. საბოლოოდ ყველასთვის მისაღებ ვარიანტზე შეთანხმდნენ.

არგენტინელი მაქსი ლოპესი კი „მალიორკაში“ გაგზავნა „ბარსელონამ“. ახმახი პატაგონიელი ერთი სეზონით იჯარით ითამაშებს კუნძულებზე. მაქსი 2004-05-ის სეზონში „რივერ პლეიტიდან“ მივიდა „კამპ ნოუზე“, რათა მაშინ ტრავმირებული ლარსონი შეეცვალა. „ტანკად“ წოდებულმა არგენტინელმა შარშან „ჩელსისთან“ კარგად ითამაშა, გოლიც შეაგდო, თუმცა შემდეგ ამ ტემპში ვეღარ გააგრძელა და კუნძულისკენ გაისტუმრეს.

ლადო ხომერიკი

... მაქსი ლოპესი წავიდა

კამორანეზის პასპორტში ჰიმნის ჩაწერა დაავიწყდათ

უი, მაურო კამორანეზის იტალიის ჰიმნი არ სცოდნია და, თურმე, განის ნაკრებთან შეხვედრის წინ თავისთვის არგენტინისას ღიღინებდა. მოგეხსენებათ, კამორანეზი წარმოშობითაა იტალიელი, დაბადება-გაზრდით კი არგენტინიდან გახლავთ და ისტორიულ სამშობლოს მხოლოდ ფეხბურთელობაში დაუბრუნდა.

„არა, იტალიის ჰიმნი მე არ ვიცი, ჩემმა შვილებმა იციან, თუმცა, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ცხოვრებაში ცისფერი მაისურა ვარჩიე და, ესე იგი, ამ ეროვნულ გუნდს ვეკუთვნი. სისულელეა, თითქოს „სკუადრა აძურას“ არგენტინის მაისურიანი წევრი ვიყო“.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის“ მოთამაშე იტალიაში 2000 წელს გადავიდა და „ვერონამ“ შეიძინა, 2003 წლის თებერვალში კი ნაკრების მოთამაშეც გახდა. იტალიაში კამორანეზის პაპა-ბებიის მშობლები ცხოვრობდნენ.

„იტალიური პასპორტი მაქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის თავი სრულფასოვან იტალიელად რომ ვიგრძნო“ — თქვა ერთხელ ნახევარმცველმა ინტერვიუში. სტატისტიკოსები ამბობენ, რომ „სკუადრა აძურაში“ წარმოშობით იტალიელ 33 უცხოელს უთამაშია, რომელთაგან 17 არგენტინელი გახლდათ. დანარჩენები ასე განაწილდნენ: 9 ურუგვაელი, 5 ბრაზილიელი, ერთი შოტლანდიაში შობილ-გაზრდილი ჯოვანი მოსკარდინი და ერთიც სამხრეთ აფრიკელი ედი ფრიმანი.

პაპუნა კედია

კოსმოპოლიტური მიმოხილვა



— თეთრი ფრაკი და შავი ფრაკი, ძმაო, ოპერაში გამოჩნდებაო, რა.

— ყვითელიც!

— ე, ვინ თქვა ეს?! დაგვენახე, აბა! გამოდი, ნუ გეშინია, ბრატ! ე, გამოდი, ძმაკაც, გამოდი... ვა, არ გამოდის. კაი, ჯანდაბას, ჯერ იყავი ეგრე და იყოს ყვითელიც, ოღონდ იცოდე, მივხვდით, რაც იგულისხმე და ფრთხილად, ჩვენ ცოტა სხვანაირი ხალხი ვართ. ეგეთებს არ ვპატიობთ. რო ამბობ, ძმაო, იცი შავ ფრაკში ვინ და რა ვიგულისხმეთ?

— დიახ, და, მგონი, არ ხართ, ბატონო, მართლები. ზიდანი, ბარტეზი, სანიოლი და რიბერი ხომ თეთრები იყვნენ?

— ვა, რომელი ხარ, ტო, შენ? გამოდი, რა, დაგვენახე, ნუ გეშინია. გამოდი, გაგვაგებინე ერთი ეგ რიბე.... როგორ თქვი?

— რიბერი

— ეგ რა პონტია?

— აი, გაზეთებს ვარსკვლავი რომ ჰგონიათ.

— ჰოოო! აბა, მოდი, ჯიგარო, ერთი დაგვენახე.

— უკაცრავად, მაგრამ ვერა.

— რატო, რატო?

— იმიტომ, რომ კიდე წამომცდება რამე, თქვენ კიდე სხვანაირი ხალხი ხართ.

— მისმინე, ძმაო. ჩვენ ფუტბოლის და ჯიგრის ხალხი ვართ. ჩვენ გვიყვარს ბრაზილია, ინგლისი, იტალია, არგენტინა და არ გვიყვარს პიდ...

— მაპატიეთ, პიდ კი არა, პედ. სწორად ასეა.

— ვაააა, გამოდი, რა, ერთი დაგვენახე, რა მოგივიდა. შენ რა, არ გიყვარს, ძმაო, ეს ყველაფერი?

— ფეხბურთი და ღვიძლი? როგორ არა, ოღონდ, ღვიძლი უფრო შემწვარი მიზიდავს. ფეხბურთი კი... როგორ გითხრათ, რა ჩამოთვალეთ? ჯამბაზობა, რეგვენობა, ჭინთვა და ქუჩური ქცევა, ხომ? არა, მე უფრო...

— რაო!? რაო, ბიჭო, გაიმეორე! ეხლა შენ თავი არ მომაკვლევინო, ჩემი...

— არა, როგორ გეკადრებათ, თვითმკვლობისგან ღმერთმა დაგიფაროთ. მე უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, რომ...

— შენ, ბიჭო, მე რა უნდა მითხრა. შენ, ჯიგარო, ერთი შემხედე, რა, კარგად. ვგავარ მე იმ კაცს, შენ რამე რო უნდა უთხრა?! არა, ვგავარ-მეთქი?

— არა, თქვენ მართლაც სულ სხვა შთაბეჭდილებას ტოვებთ, თუმცა, გთხოვთ, ერთი მაინც მათქმევინოთ. მე უფრო...

— რა, რა უფრო, აბა, რა.

— მე უფრო...

— რა, უფრო, აბა, რა, აბა, თქვი, ჰო, მიდი, მიდი..

— მე უფრო...

— ჰო, მიდი, მიდი, თქვი, რა ენა ჩაგივარდა. მიდი, რა, ძმაო, თქვი თუ რამე სათქმელი გაქვს. მიდი, რას გაჩუმებულხარ, მიდი.

— დიახ, ჩემი სათქმელი ის არის, რომ მე ხელ...

— რა ხელ, ძმაო, რა ხელ?! აქ არასპრავედლივი ხელის ქნევა არ გავიგო ჩემი... ხელ კი არა ფეხ არ მოჭამო არავის, გაიგე?

— არა, არა, არ მოვჭამ. არც ვაპირებ. მე ხელ...

— კიდე, ტო?!

— აუ, კაი, რა ათქმევინე. ამ შენ ღრიალში მთელი კაიფი წავიდა, რა... მიდი, ჯიგარო, თქვი და გააჯ... გააჯ... გააჯავრე ბებიაშენი, გაიგე?

— კი ბატონო, მაგრამ მე ხელ... ისუფლებამ შვედეთის ქომაგობა დამავალა და....

პაპუნა კედია იმენა ჯიგრიდან
სპეციალურად „სარბიელისთვის“



პაცინი: ვაპაჭიოთ!

ტოტის ორმატჩიანი თავი და ყურდახუჭული დელ პიერო

დე როსი: დავსაჯოთ!

მაურიციო პაცინიმ, პარტია „ფორცა იტალიას“ წევრმა (რომლის ყოფილი თავმჯდომარეც „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი გახლავთ) და „იუვენტუსის“ ფანკლუბის პრეზიდენტმა, ყველას მოუწოდა, თუ „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, ხოლო მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში ეჭვმიტანილ კლუბებსა და პირებს დანაშაული დაუმტკიცდებათ, შევიწყალოთ და მათ მძიმედ ნულარ დავსჯითო.

მაურიციო პაცინი: „თუ მუნდიალს მოვიგებთ, ამნისტიაზე აუცილებლად უნდა ვიფიქროთ და ფეხბურთელებს ეს წარმატება დავუფასოთ“.

„მეც „იუვენტუსის“ ქომაგი ვარ, მაგრამ იმედია, კლუბს სათანადოდ დასჯიან, თუ დანაშაული დაუმტკიცდება“ — სხვა აზრისაა ოპოზიციური პარტიის წევრი პიერლუიჯი სტიფონი.

პაცინის ინიციატივას უკვე გამოეხმაურა იტალიის ნაკრების ერთ-ერთი წევრი, დანიელე დე როსი. „რომას“ 22 წლის ნახევარმცველი ყოველგვარ ამნისტიას დაუშვებლად მიიჩნევს.

„მუნდიალის მოგება უსაზღვრო სიხარულის მიზეზი და უდიდესი წარმატება იქნება, მაგრამ ამნისტიაზე საუბარი აბსურდია. მათი არდასჯა, ვინც წესები დაარღვია, ორმაგი შეცდომა იქნება. ეს ფეხბურთზე ცუდად იმოქმედებს და იმედია, მოსამართლეები გამომძიებლებთან ერთად ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც საჭიროა“ — თქვა დე როსიმ.

ფრანჩესკო ტოტის თავს დალაქი სამი საათი თავს ევლებოდა

„სკუადრა აძურას“ თემა ფრანჩესკო ტოტის ახალი თმის ვარცხნილობით გავაგრძელოთ, რომელსაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რამდენიმე აპენინურმა ჟურნალ-გაზეთმა ისიც კი თქვა, ნაკრებს წარმატება სწორედ „რომას“ კაპიტნის ახალმა ვარცხნილობამ მოუტანაო. გაირკვა, რომ განასთან მატჩის დღეს დალაქმა ლუჩიანო ბელოტიმ იმდენი ხანი მოანდომა ტოტის თმების შემოკლებას, რომ ფეხბურთელმა ვერც ავსტრალია-იაპონიას უყურა და ვერც — ჩეხეთი-აშშ-ს.

სასიხარულო ამბავი ჯანლუკა ძამბროტას მომჯობინებაა. ექიმების თქმით, იტალიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა, შესაძლოა, ამერიკელთა წინააღმდეგ ითამაშოს. ეს მარჩელო ლიპისთვის დიდი შვება იქნება, რადგან განასთან მატჩში ყველაზე სუსტი სწორედ მარცხენა ფლანგი და ფაბიო გროსო იყო.

უსიამოვნო ამბავი კი ის გახლავთ, რომ ალესანდრო დელ პიერო, რომელსაც აფრიკელებთან შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ელოდნენ, ცუდ ხასიათზეა. ამის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ლიპიმ მას ტოტი ამჯობინა და სულაც მხოლოდ 7 წუთით ითამაშა. როგორც ამბობენ, ვარჯიშისას, როდესაც „სკუადრა აძურა“ ადგილობრივ გუნდს ესპარინგებოდა, „იუვენტუსის“ კაპიტანი ერთ-ერთ მეტოქეს წაჩხუბებია, მერე კი მასთან დასამშვიდებლად მისულ ლიპისთვისაც დაუგდია ყური და მინდვრიდან გასულა.

გიორგი ძაძაგაძე

სულისცვალება

„იუვენტუსი“ ინგლისური სტილის კლუბზე ალაპარაკდა, მაგრამ ქარაგმულად ისიც თქვა, რომ მის სამომავლო გეგმებში ფაბიო კაპელო აღარ შედის.

კლუბის ერთ-ერთმა შეფთაგანმა, კარლო სანტალბანომ განაცხადა: „ჩვენ ამიერიდან ახალგაზრდა ფეხბურთელებს დავეყრდნობით და საკუთრივ კლუბის მოდელსაც შევცვლით, ხოლო ამ ცვლილებებს „იუვეს“ სულის შეცვლით დავიწყებთ. რაც შეეხება კაპელოს, ის ჩვენთან საუბარში ძალიან გულწრფელი იყო, რისთვისაც მადლობას ვუხდით და ვნახავთ როგორ განვითარდება მოვლენები“.

შეგახსენებთ, რომ როგორც კი იტალიურ ფეხბურთში „კალჩოპოლის“ სკანდალად წოდებული აურზაური დაიწყო, კაპელოს მომავალი იმწუთას კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ინტენსიურად დადის ხმები, თითქოს „იუვენტუსს“ სერია B-ში გავარდნა უწერია. ამასთან, სანტალბანოს კიდევ ერთი ნათქვამიდან ისე გამოვიდა, რომ კაპელო მადრიდის „რეალში“ გადავა, რაც გასაკვირი ნამდვილად არ იქნება, მითუფრო, რომ „დონ ფაბიოს“ „რეალი“ ერთხელ უკვე მიუყვანია ესპანეთის ჩემპიონის ტიტულამდე, ხოლო ტურინში, ორი სკუდეტოს მიუხედავად ის მაინც და მაინც არ უყვარდათ — ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქომაგთა ფავორიტსა და კაპიტან ალესანდრო დელ პიეროს ეპყრობოდა ზედმეტად „მჩატედ“, ნიადაგ სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა.

სანტალბანო: „მე ინგლისური მოდელის კლუბის შექმნას ვაპირებ. დღევანდელი დღის სირთულე გვავალდებულებს 109 წლიან ისტორიაში ჩავიხედოთ და გავისიგრძეგანოთ თუ რამხელა პასუხისმგებლობა გვაკისრია. ჩვენი ისტორია გუნდურ სულისკვეთებაზე, სანახაობაზე, წარმატებებზე და იმავდროულად ელეგანტურობასა და ჯენტლმენობაზე დგას. „იუვეს“ დიდი წარმატებები შრომითა და თავგანწირვითაა მოპოვებული და ამან მთელ მსოფლიოში 14 მილიონი ფანი შეგვძინა. მწამს, ჩვენი ახალი პროექტი „იუვეს“ ფეხბურთს ხელახლა შობს და ჩვენი ყველა წევრი პატიოსანი, ჭკვიანი და მტკიცე ადამიანი იქნება“.

პაპუნა კედია

ფერნანდო ტორესმა თაფლი წაისვა

ელ ნინიოს ფუტკრები: მანჩესტერი, ლივერპული, მილანი

მადრიდის „ატლეტიკოს“ ფერნანდო ტორესზე ევროპული გრანდების სატრანსფერო ნადირობა გრძელდება. მაგალითად, ინგლისში ამბობენ, რომ „ელ ნინიო“ გაისად „მანჩესტერ იუნაიტედში“ ითამაშებს. ვან ნისტელროი, სავარაუდოდ, „იუნაიტედს“ ტოვებს და ფერგიუსონის ხალხიც ჰოლანდიელის შემცვლელის ძებნაშია. ალბიონური მედიის მიხედვით, „მანჩესტერის“ ფანებს ძალიან სურთ, ფერნანდო თავიანთ საყვარელი გუნდის ფორმაში გამოწყობილი იხილონ. „ელ ნინიოსაც“ თურმე სერ ალექს ფერგიუსონის კლუბში გადასვლის იდეა ხიბლავს — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხომ არა მარტო ინგლისური, არამედ ევროპული მასშტაბის გრანდია. ინგლისელები „ატლეტიკოს“ ტორესის სანაცვლოდ „მოძულებულ“ ვან ნისტელროის და ზედ 21 მილიონ ევროს სთავაზობენ.

თავდასხმის „ელ ნინიოთი“ გაძლიერება მეორე ალბიონურ გუნდს, „ლივერპულსაც“ უნდა. იქაურებმა ფერნანდო მორიენტესი „ვალენსიას“ მიჰყიდეს, ხოლო ჯიბრილ სისე (რომლის გაყიდვასაც აპირებენ) ტრავმირებულია. ბენიტესის კლუბს კრაუჩი და ფაულერი ჰყავს და კიდევ ერთი მოიერიშის შეძენა სჭირდება.

ფერნანდოს მსურველთა ჩამოთვლისას ჯერჯერობით ინგლისს ვერ გავცდით. „ტოტენჰემი“ ტორესისადმი სიმპათიებს არასდროს მალავდა. ლონდონელებმა ბერბატოვი იყიდეს და წინა ხაზზე ირლანდიელი კინი და დეფო ჰყავთ, მაგრამ „მამლებს“ კიდევ უნდათ თავდამსხმელის შემატება, რათა ძლიერი შემადგენლობა ჰყავდეთ.

გადავიდეთ იტალიაში. შევჩენკოს „ჩელსიში“ გადასვლამ „როსონერის“ თავდასხმაში სიცარიელე დატოვა. „მილანი“ შზადაა „ატლეტიკოს“ ფორვარდში 30 მილიონი ევრო გადაიხადოს. სხვა საქმეა, თავად „ელ ნინიოს“ როგორ მოსწონს სერია A-ში გადაბარგების იდეა...

ლადო ხომერიკი

ობიექტი

AFP ლაიპციგიდან



AFP სან პაულოდან



AFP ბერლინიდან

ესპანეთის უფლისწული ფილიპე, მისი ცოლი ლეტიცია და კაიზერად წოდებული ფრანცი ხარობენ ესპანური გოლებით უკრაინელთა კარში. ოლონდაც, ესპანელ დიდებულთა სიხარული მათივე წარმომავლობასავით კრისტალურია, ბეკენბაუერისა კი მისი კაიზერობასავით მოჩვენებითი.

რომელიღაც ბრაზილიურ საავადმყოფოში კი პაციენტები უყურებენ რონალდოს. ამბობენ, რომ დადებითი ემოციები ხელს უწყობს ავადმყოფის გამოჯანმრთელებას. რონალდომ ხორვატებთან ცუდად ითამაშა, მაგრამ ბრაზილიამ მოიგო, ანუ პაციენტებს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ.

ბერლინის აკვაზოოპარკში ცხოვრობს იაპონური ობობა-კიბორჩხალა ნაკამურა. ოხუნჯ მომვლელთა გამოისობით ბურთი მისი თანამგზავრი გამხდარა, რაც უთუოდ მოუმატებს დამთვალიერებელს.

ცხადი იყო, რომ ვერანაირი პოლიცია ვერ დააკავებდა სტრაიკერობის მოყვარულთ. ასეცაა — საუდელებს გუშინ ტუნისელი სტრაიკერი ჩაუხტა.

ტიერი ანრი, ზინედინ ზიდანი, კლოდ მაკელელე და ფაბიენ ბარტეზი უცქერენ სათადარიგო ფრანგთა ვარჯიშს და ალბათ ფიქრობენ პირველ სამუნდიალო გოლზე ბოლო რვა წელიწადში.. გოლზე, რომელიც საუდელებმა ორი გაიტანეს. გოლები ალაჰის ნება იყო, დიდებამს — საუდელთა საგოლე რიტუალი სწორედ ამას გამოხატავს.

AFP ბუენოსაიერესიდან

AFP



AFP ბუენოსაიერესიდან

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 ივნისი						
17:00	158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
20:00	159	ინგლისი-ტრინიდადი	1.16	5.80	16.00	1.00	1.08	4.25
23:00	161	შვედეთი-პარაგვაი	1.80	3.20	4.50	1.15	1.28	1.87
		16 ივნისი						
17:00	162	არგენტინა-სერბეთი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
20:00	164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
23:00	166	მექსიკა-ანგოლა	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
		17 ივნისი						
17:00	168	პორტუგალია-ირანი	1.45	3.90	7.50	1.05	1.21	2.56
20:00	170	ჩეხეთი-განა	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
23:00	171	იტალია-აშშ	1.60	3.40	6.00	1.08	1.26	2.17
		18 ივნისი						
17:00	173	იაპონია-ხორვატია	4.00	3.30	1.85	1.80	1.26	1.18
20:00	174	ბრაზილია-ავსტრალია	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
23:00	176	საფრანგეთი-ს კორეა	1.40	3.90	8.00	1.03	1.19	2.62
		19 ივნისი						
17:00	178	ტოგო-შვეიცარია	5.30	3.40	1.65	2.07	1.25	1.11
20:00	179	ს.არაბეთი-უკრაინა	9.00	3.90	1.38	2.72	1.19	1.01
23:00	180	ესპანეთი-ტუნისი	1.45	3.60	7.50	1.03	1.21	2.43

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივნისი						
18:00	182	ეკვადორი-გერმანია	8.50	4.30	1.35	2.85	1.16	1.02
18:00	183	კოსტა რიკა-პოლონეთი	5.00	3.40	1.70	2.02	1.26	1.13
23:00	184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.50	3.60	7.00	1.05	1.23	2.37
23:00	186	შვედეთი-ინგლისი	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
		21 ივნისი						
18:00	187	პორტუგალია-მექსიკა	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
18:00	188	ირანი-ანგოლა	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
23:00	189	ჰოლანდია-არგენტინა	3.00	3.10	2.30	1.52	1.30	1.32
23:00	190	კოტ დიუარი-სერბეთი	2.55	3.20	2.55	1.41	1.27	1.41
		22 ივნისი						
18:00	191	ჩეხეთი-იტალია	3.15	3.10	2.20	1.56	1.29	1.28
18:00	192	განა-აშშ	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
23:00	193	ხორვატია-ავსტრალია	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
23:00	194	იაპონია-ბრაზილია	10.00	5.50	1.25	3.54	1.11	1.01
		23 ივნისი						
18:00	195	უკრაინა-ტუნისი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:00	197	ს.არაბეთი-ესპანეთი	12.00	5.50	1.20	3.77	1.09	1.00
23:00	198	შვეიცარია-ს კორეა	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
23:00	199	ტოგო-საფრანგეთი	9.00	4.80	1.30	3.13	1.13	1.02

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყ/ფ) (ძირ. დრო)

21158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.00	10.00	1.65
21159	ინგლისი-ტრინიდადი	2.40	10.00	1.50
21161	შვედეთი-პარაგვაი	2.00	10.00	1.65
21207	გერმანია-პოლონეთი	2.00	10.00	1.60

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23158	ეკვადორი-კოსტა რიკა	3.00	1.30
23159	ინგლისი-ტრინიდადი	2.80	1.32
23161	შვედეთი-პარაგვაი	3.00	1.30
23207	გერმანია-პოლონეთი	3.00	1.30

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.70	1.90
12159	ინგლისი-ტრინიდადი	2.00	1.60
12161	შვედეთი-პარაგვაი	1.60	2.00
12162	არგენტინა-სერბეთი	1.70	1.90
12164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.70	1.90
12166	მექსიკა-ანგოლა	1.70	1.90
12168	პორტუგალია-ირანი	1.80	1.75

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.70	1.90
13159	ინგლისი-ტრინიდადი	1.90	1.65
13161	შვედეთი-პარაგვაი	1.70	1.90
13162	არგენტინა-სერბეთი	1.80	1.80
13164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.70	1.90
13166	მექსიკა-ანგოლა	1.90	1.70
13168	პორტუგალია-ირანი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

14158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.65	2.20
14161	შვედეთი-პარაგვაი	1.65	2.20
14162	არგენტინა-სერბეთი	1.30	2.50
14164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.60	2.20
14166	მექსიკა-ანგოლა	1.20	2.60
14168	პორტუგალია-ირანი	1.15	2.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15158	ეკვადორი-კოსტა რიკა	3.00	2.80	2.00
15159	ინგლისი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15161	შვედეთი-პარაგვაი	3.00	2.80	2.00
15162	არგენტინა-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	3.00	2.80	2.00
15166	მექსიკა-ანგოლა	3.00	2.80	2.00
15168	პორტუგალია-ირანი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.40	2.40
16161	შვედეთი-პარაგვაი	1.40	2.40
16162	არგენტინა-სერბეთი	1.30	2.80
16164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.40	2.40
16166	მექსიკა-ანგოლა	1.12	4.20
16168	პორტუგალია-ირანი	1.10	4.80

გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.85	1.95
17159	ინგლისი-ტრინიდადი	1.85	1.95
17161	შვედეთი-პარაგვაი	1.85	1.95
17162	არგენტინა-სერბეთი	1.85	1.95
17164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.85	1.95
17166	მექსიკა-ანგოლა	1.85	1.95
17168	პორტუგალია-ირანი	1.85	1.95

ვინ დაიწყებს თამაშს

19158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.85	1.85
19159	ინგლისი-ტრინიდადი	1.85	1.85
19161	შვედეთი-პარაგვაი	1.85	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.80	1.80
20159	ინგლისი-ტრინიდადი	1.30	2.80
20161	შვედეთი-პარაგვაი	1.70	2.00

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22158	ეკვადორი-კოსტა რიკა	1.70	1.90
22159	ინგლისი-ტრინიდადი	1.70	1.90
22161	შვედეთი-პარაგვაი	1.80	1.80

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.40	2.00	4.40	1.09	1.55	1.37
10159	ინგლისი-ტრინიდადი	1.30	3.00	10.00	1.00	1.15	2.30
10161	შვედეთი-პარაგვაი	2.30	2.00	4.30	1.06	1.49	1.36
10162	არგენტინა-სერბეთი	2.00	2.10	5.20	1.02	1.44	1.49
10164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	2.30	2.00	4.40	1.06	1.51	1.37
10166	მექსიკა-ანგოლა	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10168	პორტუგალია-ირანი	1.60	2.50	6.00	1.00	1.26	1.76

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11158	ეკვადორი-კოსტა რიკა	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00
11159	ინგლისი-ტრინიდადი	1.40	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11161	შვედეთი-პარაგვაი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11162	არგენტინა-სერბეთი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11166	მექსიკა-ანგოლა	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11168	პორტუგალია-ირანი	1.70	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

კირკიტაძე ფედერაციის პრეზიდენტად? ასეთი რამ პირველად მესმის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ დოლიძეიანის ფოტო

ქართული გუნდები მომავალი სეზონისთვის ემზადებიან და სამზადისშია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც. 2006-07 წლების სეზონი ფედერაციისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია თუნდაც იმიტომ, რომ გაისად ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნებია. ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ახლა გერმანიაშია და მას იქ დავუკავშირდით...

გაფრი ჯეიმოლაძის ფოტო

ნოდარ ახალკაცი საგაისო არჩევნებისთვის ემზადება

ერთიანი მოედნები და ერთი ფერი ეროვნული ნაკრებისთვის

— თქვსმეტგუნდა ეროვნული ჩემპიონატი თქვენი იდეა იყო, თუმც მე-17 ეროვნულმა გვაჩვენა, რომ გუნდების უმრავლესობას სტაბილური ფინანსური ზურგი არ გაჩნია — არ აპირებთ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობას გადახედოთ?

— ყოველთვის ვამბობდი, რომ თექვსმეტი გუნდი ამ ეტაპზე ჩვენთვის ოპტიმალური ვარიანტია. მომავალი სეზონისთვის გუნდების რაოდენობას ვერ შევცვლით, სპორტულ პრინციპს ვერ დავარღვევთ, 2007-08 წლების სეზონში კი რამდენიმე გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში, ამაზე სერიოზულად ვიმსჯელებთ — ნოემბერში კლუბების ლიცენზირება დაიწყება, რაც გაზაფხულზე დასრულდება — ამ პროცესის მიხედვით კარგად გამოჩნდება ვითარება. ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ. საქართველოში ძალიან სწრაფად იცვლება და ვითარდება მოვლენები და ამისდა მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ, ანუ წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია...

— ფეხბურთის ფედერაციას სახელისუფლებო სტრუქტურებთან ერთად უნდა შეემუშავებინა საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა — რატომ ჭიანურდება ეს?

— ამ პროგრამის მიხედვით უკვე მიმდინარეობს სამუშაოები — ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია; დაგეგმილია მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ახალი საფარის დაგება, რადგან ყველამ ვიცით, რომ დღეს არსებული საფარი სათანადო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. რაც შეეხება პროგრამის დასრულებას, ლაპარაკია ცალკეულ მასშტაბურ პროექტებზე და ახლა დგინდება, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება მათი განხორციელება.

— საგადასახადო შეღავათები იმ ბიზნესმენებს, ვინც ფულს ფეხბურთში აბანდებს — ამ საკითხის სერიოზულ დონეზე დაყენება კვლავაც შეუძლებელია?

— ამ ეტაპზე ეს საკითხი არ განიხილება, რადგან ქვეყანა საამისოდ ჯერ მზად არ არის, თუმც ჩვენი სახელმწიფო წინ მიდის და უახლოეს მომავალში ალბათ ეს საკითხიც სერიოზულად დადგება დღის წესრიგში — საგადასახადო შეღავათების თემა დრომ უნდა მოიტანოს.

— გაისად ფეხბურთის ფედერაციის მორიგი არჩევნებია და ალბათ აპირებთ კანდიდატურის წამოყენებას...

— რა თქმა უნდა, ვაპირებ, თუმც ჯერ სხვა საკითხებზე უფრო ვფიქრობ. შარშან მე ორი წლით ამირჩიეს ფედერაციის პრეზიდენტად და მაშინაც ვთქვი, რომ ორ წელიწადში ძალიან ძნელია ბევრის გაკეთება და ეს ორი წელი იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ შემდგომი ოთხი წელი, რა ვადითაც აირჩევა გაისად პრეზიდენტი, იყოს უფრო ნაყოფიერი. ჩვენი გუნდი მზად არის, კვლავაც გავწიოთ ქართული ფეხბურთის ჭაპანი. გულშემატკივარი მალე დაინახავს, თუ რა სასიკეთო ძვრებია ქართულ ფეხბურთში.

— კულუარებში ამბობენ, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე აპირებს და ხელისუფლებაც მას დაუჭერს მხარს...

— ასეთი რამ პირველად მესმის. მე და კირკიტაძეს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ერთი თაობა ვართ და ყველა ყველას ვიცნობთ...

— ისიც შევიტყვეთ, რომ ფიფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შეუჩერა ის დახმარება, რომელიც ნაკრებთა ბაზის გაანახლებისთვის ან ახალი ბაზის ასაშენებლად იყო განკუთვნილი...

— ვინც შეთხზა ასეთი ინფორმაცია, მანვე დააზუსტოს. დახმარება არ შეჩერებულა — საგურამოში გვინდა ტერიტორიის აღება ახალი ბაზისთვის და საამისოდ იურიდიული მხარეა მოსაგვარებელი. ახალ ბაზაზე სტანდარტული ზომის ხელოვნურსაფარიანი მოედანი დაიგება, აშენდება გასახდელები. ხოლო იმ ბაზაზე, რომელიც უკვე გვაქვს, ახალი, ხარისხიანი მინდორი დაიგება, საფარს უცხოეთიდან ჩამოვიტანთ — ბაზაზე ახალი მინდვრის დაგება შესარჩევი ციკლის დაწყებამდე მოესწრება.

— ისევე, როგორც ეროვნული სტადიონის განახლება?

— რა მოედანიც დაიგება ეროვნულ სტადიონზე, ზუსტად იმ მოედანს დავაგებთ ბაზაზე და აბსოლუტურად იგივე მოედანი დაიგება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე — ახლა ამ მიმართულებით ვმუშაობთ, რადგან ფეხბურთელებისთვის მინდორთან შეგუების პრობლემა უნდა მოიხსნას. ამ მოედნებს საფარის გარდა გრუნტიც და დრენაჟიც ერთნაირი უნდა ჰქონდეთ.

— შევიტყვეთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები შემოდგომაზე ტაილანდთან აპირებს ამხანაგური მატჩის გამართვას...

— მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რამდენიმე ფედერაციასთან — ურუგვაისთან, აზიურ, აფრიკულ და ევროპულ ნაკრებებთან. 22 აგვისტო, 17 სექტემბერი, 15-17 ნოემბერი და 7 თებერვალი უეფას ის დღეებია, როცა საქართველოს ნაკრები ისვენებს და შეეცდებით, ეს თარიღები ამხანაგური მატჩებით შევავსოთ.

— „დიადორასთან“ ხელშეკრულების გაფორმება რა სტადიაშია?

— „დიადორასთან“ კონტრაქტს მომავალი კვირის ბოლოს გავაფორმებთ. უკვე შევუკვეთეთ ფორმების დიზაინი. საქართველოს ნაკრებს სამი ფორმა ექნება: თეთრი-თეთრი-თეთრი, ცისფერი-ცისფერი-ცისფერი და წითელი-წითელი-წითელი — სამივე ვარიანტში გეტრი, ტრუსი და მაისურა ერთი ფერისა იქნება.

დავით თავართქილაძე

საჩხერე გრიგოლეთში გაიცხრილება

საჩხერის „ჩიხურა“ ჭიათურაში ვარჯიშობს და ახალ-ახალ ფეხბურთელებს იმატებს — ზურაბ მამალაძე, მიხეილ მესხი, სანდრო ბურნაძე, გიორგი მემარნიშვილი, ლევან სანიკიძე, ედიშერ მარგალიტაძე, კობა შალამბერიძე, გიორგი მიქაძე, გიორგი ლოლაძე — ეს ფეხბურთელები უკვე „ჩიხურაში“ არიან, შევსებაც ნელ-ნელა გაგრძელდება.

საჩხერელთა თავკაცი ხვიჩა ქასრაშვილი მიზნებზე ჯერ არ ლაპარაკობს, სეზონისწინა გეგმებზე კი...

ალან ფანიშვილის ფოტო

— ჭიათურაში მშვენიერი პრიობებია, მინდორიც შესანიშნავია. აქ, ფაქტობრივად, შეკრებაზე ვართ, ხოლო მალე გრიგოლეთში წავალთ ორი კვირით.

— ამხანაგური მატჩი თუ ითამაშეთ?

— არა, მაგრამ 17 ივნისს ქუთაისის „ტორპედოსთან“ ვაპირებთ თამაშს. ახლა გუნდში 42 ფეხბურთელია, ბევრი მათგანი ისინჯება და ჯერ არ ვიცით, ვის დავიტოვებთ და ვის გავუშვებთ. სიახლე ისაა, რომ ფოთის „კოლხეთიდან“ ედიშერ მარგალიტაძის გარდა, ფორვარდი ლევან წიქარიშვილიც შევიმატეთ.

— გუნდში დამრჩენ-წამსვლელების ვინაობა როდის გეცოდინებათ?

— გრიგოლეთში ძირითად გუნდს წავიყვანთ, თუმც გამორიცხული არაა, მერეც დავიმატოთ ვინმე. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ჯერ ვერ გეტყვით გვარ-სახელებს.

— უცხოეთში მოთამაშე რომელიმე ქართველი ფეხბურთელის ჩამოყვანა თუ იგეგმება?

— ვნახოთ, სელექცია აქტიურად მიდის. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს ვინც ვერ დააკმაყოფილებს, გავუშვებთ. მინდა, ისეთი გუნდი შეიქმნას, ახალგაზრდებიც მყავდეს და გამოცდილებიც.

...აქვე ვიტყვი, რომ საჩხერის სტადიონზე რეკონსტრუქცია სწრაფი ტემპით მიდის და სავარაუდოდ, სეზონის დაწყებამდე რემონტის დასრულება მოესწრება.

ილია ნანობაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეიდან მომავალი ჩემპიონატისთვის მზადებას „ბათუმიც“ იწყებს. ოთარ გაბელია გუნდს ბათუმშივე შეკრებს, თუმცა ჯერ ზუსტად არ არის ცნობილი, რა შემადგენლობით და როგორი პირობებით შეხვდება მეთვრამეტე ჩემპიონატს აჭარული გუნდი.
სიტუაციაში გარკვევა თავად ოთარ გაბელიასთან ვცადეთ...

ბათუმმა ჯერაც არ იცის, რა ელის

ოთარ გაბელია: უმიზნო გუნდში ვერ ვიმუშავებ

— კითხვა, რომელიც ქართულ ფეხბურთში მოტრიალე ნებისმიერ ადამიანს აწუხებს: როგორი იქნება „ბათუმის“ მომავალი, გაირკვა თუ არა ურთიერთობა სპონსორებთან?

— ჯერჯერობით ჩემთვისაც არაფერია ცნობილი. ვიცი, რომ მოლაპარაკება მიდის ერთ-ერთ სავარაუდო სპონსორთან და იმედია, მალევე გაირკვევა ყველაფერი.

— ეს გაურკვევლობა გუნდის სეზონისწინა სამზადისზე არ აისახება?

— მზადების დაწყება 10 ივნისიდან მქონდა დაგეგმილი, მაგრამ ვითარებიდან გამომდინარე ხუთი დღით გადავდე. გუნდს ხვალ შევკრებთ და პირველ ვარჯიშსაც ჩავატარებთ.

— შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ცვლილებები თითქმის არ იქნება, მთავარია, შესაბამისი პირობები გვქონდეს.

— რამდენიმე ფეხბურთელი თბილისის „დინამოდან“ გყავთ იჯარით აყვანილი...

— მეკარე ირაკლი თოთლაძე თბილისის „დინამოში“ ვარჯიშობს და არ ვიცი, რას გადაწყვეტს ამ კლუბის ხელმძღვანელობა. რაც შეეხებათ მიხეილ კაკალაძეს და ვლადიმერ დვალიშვილს, მათ დეკემბრამდე აქვთ იჯარის ვადა.

— ლოკომოტიველები?

— „ლოკომოტივიდან“ ორი ფეხბურთელი გვყავს იჯარით — გიორგი სეთურიძე და ლაშა ქებაძე. ისინიც ერთწლიანი იჯარით — დეკემბრამდე იქნებიან ჩვენთან. თუმცა ქებაძეს კონტრაქტში უწერია, რომ უცხოურ გუნდში გადასვლის შემთხვევაში არ დავაბრკოლებთ. ასეთივე პირობაა ჩადებული გიორგი ონიანის კონტრაქტშიც. როგორც ვიცი, მასაც უნდა, თამაში უცხოეთში გააგრძელოს.

— შეკრებას ბათუმშივე გაივლით?

— ერთი ეტაპის გავლა ბათუმშიც შეიძლება, მაგრამ მეორე აუცილებლად სადმე სხვაგან უნდა მოვაწყოთ — საქართველოში იქნება თუ საზღვარგარეთ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, გუნდი ამ ხვატს გავარიდოთ.

— თუკი ძველი პირობები ვერ შენარჩუნდა, მაინც მზად ხართ, ბათუმში მუშაობა გააგრძელოთ?

— გუნდთან კონტრაქტი მაკავშირებს და თუ დანაპირებს შემისრულებენ, რა თქმა უნდა, გავაგრძელებ მუშაობას. თუ პირობები არ იქნა, ამხელა გზაზე აქეთ-იქით სიარულს და უმიზნო, უამბიციო გუნდში მუშაობას რა აზრი აქვს?! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემს უკან ხომ ოჯახი დგას. ზურაბ ჯაფარიძე ჩემი მეგობარია და სად გავაგრძელებ მუშაობას, ნაწილობრივ მასზეც არის დამოკიდებული. თუ ზურა სხვაგან გადავა, შესაძლოა, მეც იქ წავიდე, მაგრამ თუ საერთოდ ფეხბურთს ჩამოშორდება, მაშინ უკვე კლუბის ახალ ხელმძღვანელებს დაველაპარაკები.

გიორგი ნოზაძე

კახეთი დამუხრუჭდა

რამდენიმე კვირის წინ თელავის „კახეთში“ გვითხრეს, ქალაქის გამგეობის შემწეობით კლუბის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და 2006-07 წლების სეზონში „კახეთი“ ხუთეულში მოხვედრისთის იბრძოლებსო, მაგრამ...

თელავის გამგეობამ კლუბის ბიუჯეტისთვის დამატებით ხარჯები ვერ გამოძებნა და ვერც სხვა ინვესტორი გამოძებნა — ასეთი ამბავი გავიგეთ გუშინ და კლუბი ახლა იმაზეღა ფიქრობს, მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელები შეინარჩუნოს, რასაც ბიუჯეტის ოდნავი გაზრდა მაინც სჭირდება.

მოკლედ, „კახეთის“ ოცნებებს ხუნდები მოუჭირეს...

ნიკა ჯორჯაძე

ფეხბურთის კლუბი ამერი სამძიმარს უცხადებს
ფიფას მსაჯ მამუკა ელიკაშვილს
დედის
გარდაცვალების გამო

ლაშა ნოზაძე: დინამოს წასვლაზე შევუთანხმდი

როგორც გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი და კაპიტანი ლაშა ნოზაძე მალე ალბათ კლუბს გამოიცვლის. ის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ტრანსფერზე დააყენა, ხოლო ფეხბურთელის აგენტი უკვე შეუდგა საქმეს...

— დიახ, ტრანსფერზე ვარ და ახლა ახალი კლუბისგან ველი წინადადებებს. ვფიქრობ, სეზონს სხვა გუნდში დავიწყებ — გვითხრა გუშინ ლაშა ნოზაძემ — არადა, „დინამოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი იანვარში გავაფორმე, თუმცა წინა ჩემპიონატის შემდეგ ხელმძღვანელობამ კიდევ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, რისი პირობებიც ჩემთვის მოულოდნელი გამოდგა. ხელმოწერაზე უარი ვთქვი, რის შემდეგაც ორივე მხარემ გადავწყვიტეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ტრანსფერზე დავმდგარიყავი. ჩემი გადაბირების მსურველს „დინამოსთვის“ გადასახდელი რამდენი ექნება, ზუსტად არ ვიცი, ეს საკითხი კლუბის ხელმძღვანელობასთანაა გასარკვევი...

...მართალია, დღესდღეობით ისევ „დინამოსთან“ ერთად ვვარჯიშობ, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ ინტერტოტოზე „კილიკიასთან“ არ ვითამაშებ. „დინამოსთან“ მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად ვარ, მალე კი, იმედი მაქვს, ახალ კლუბშიც გადავალ. ჩემი აგენტი მუშაობს და, როგორც ვიცი, უკვე რამდენიმე საინტერესო ვარიანტიც გამოჩნდა...

...თუ „დინამო“ და ახალი კლუბი ფინანსურად ვერ მორიგდნენ ან სხვა პრობლემები შეიქმნა, სხვა რა გზა იქნება, „დინამოში“ დარჩენა მომიწევს და ალბათ ახალ კონტრაქტსაც გავაფორმებ. დღესდღეობით კი, როგორც გითხარით, „დინამოსთან“ ერთად ვვარჯიშობ და ახალი გუნდებისგან კონკრეტულ და მისაღებ წინადადებებს ველი.

კობა ინასარიძე

დინამომ ჯანაშია დაიმატა

თბილისი და ერევანი ერთ დროზე შეთანხმდნენ

თბილისის „დინამომ“ ახალი ფეხბურთელი დაიმატა — 19 წლის შემტევ ზამირ ჯანაშიასთან გუშინ გაფორმდა კონტრაქტი, რომლის ხანგრძლივობა და დეტალები ჯერ არ ხმაურდება.

ჯანაშია წინა სეზონში ფოთის „კოლხეთში“ თამაშობდა და სეზონის დასრულების შემდეგ მისით ქუთაისის „ტორპედოც“ იყო დაინტერესებული, მაგრამ რიონისპირელების შეთავაზება „დინამოს“ სახელმა და პირობებმა გადაწონა.

შეგახსენებთ: ზამირი უმცროსი ძმაა ზაზა ჯანაშიასი, რომელიც ერთ დროს მოსკოვის „ლოკომოტივში“ წარმატებით თამაშობდა და 1999 წელს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

„დინამო“ კი 17 ივნისს ავტობუსით გაემგზავრება სომხეთში, იმავ დღეს ივარჯიშებს ერევანში და 18 ივნისს ინტერტოტოს თასის პირველი რაუნდის პირველ შეხვედრაში „კილიკიას“ დაუპირისპირდება. საპასუხო მატჩი 24 ივნისს გაიმართება თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე. ორივე მატჩი 19 საათზე დაიწყება.

დავით თავართქილაძე

მთავარია ლამაზი სული

დღეს ზაზა დარასელის ხსოვნის ტურნირი იწყება

დღეს ვაკეში, „ირაოს“ სტადიონზე ზაზა დარასელის ხსოვნის მე-6 ტრადიციული ტურნირი იწყება. ცნობილ ტელეჟურნალისტს და პუბლიცისტს, ალალმართალ და პატიოსან კაცს 20 ივნისს 56 წელი შეუსრულდებოდა — სწორედ 20 ივნისსაა ტურნირის ფინალი.

„ირაოზე“ 8 გუნდი ითამაშებს: A ჯგუფში „პირველი არხი“, „სარბიელი“, „მეორე არხი“ და „იმედი“; B ჯგუფში კი „რუსთავი 2“, „მზე“, „აფხაზეთის ტელევიზია“ და „ბოცვაძელები“. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გავა, ფინალის გარდა კი მესამე-მეოთხეადგილოსნებიც გამოვლინდებიან.

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ პრესკონფერენცია მოეწყო, რომელიც მემორიალის ორგანიზატორმა გოჩა ხუნდაძემ, მენეჯერმა სერგო კიკალეიშვილმა და ზაზა დარასელის შვილმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ნინო დარასელმა ჩაატარეს.

რვავე გუნდს გადაეცა სათამაშო მაისურები წარწერით „ზაზას თასი 2006“, რის შემდეგაც ტურნირზე დაწესებულ პრიზებზეც გვითხრეს.

ჩემპიონი 1500 ლარს მიიღებს, ფინალისტი 1000-ს, მესამე ადგილოსანი 700-ს, მეოთხეადგილოსანი კი 400-ს და ამის გარდა, ჯგუფში დარჩენილ გუნდებსაც კი შეხვდებათ ფულადი პრიზი და საჩუქრები. ასევე სპეციალური პრიზია გამორჩეული მოთამაშეებისთვის და ერთიც: სამართლიანი თამაშის პრიზი ადრეც იყო ამ ტურნირზე და მისი მფლობელი გუნდი დამატებით 400 ლარით დასაჩუქრდება — მთავარია, ლამაზი სული იყოს და ტურნირიც ლაზათიანად ჩატარდეს...

ილია ნანობაშვილი

რუბინი ისევ ქინქლაძის გარეშე

რუსულ პრემიერლიგაში ახლა შესვენებაა და ყაზანის „რუბინი“ მოსამზადებელ ეტაპს შვეიცარიაში ატარებს. ყაზანელებმა იქ პირველი ტესტ-მატჩი ითამაშეს — შვეიცარიის სუპერლიგის „აარაუს“ 2:1 მოუგეს, ყველა გოლი მეორე ტაიმში გავიდა.

ჩვენებურებმა, ლაშა სალუქვაძემ და მიხეილ აშვეთიამ პირველ ტაიმში ითამაშეს, ხოლო გიორგი ქინქლაძე ჯერაც არაა ბოლომდე გამოჯანმრთელებული და არ უთამაშია.

სხვათა შორის, აშვეთიაც კარგა ხანს უქმად იყო ფეხის ზედა კუნთის დაჭიმულობის გამო და ახლაღა იტვირთება სრულად.

თბილისის შვიდკაცა

ბადრი კვითელაძის ფოტო

ქართველებმა ფინალის საგზური თბილისში უნდა მოიპოვონ

ვაკური შვიდკაცური

შვიდკაცას ევროპულ სერიაში ერთი შესარჩევი ეტაპიღაა გასამართი. ეს ეტაპი ამ უქმეებზე ვაკეში, ქართული რაგბის ტრადიციულ ალაგზე, „ლოკომოტივის“ სტადიონზეა.

თბილისის შვიდკაცა მეოთხედ იმართება და მასში ათი გუნდი მონაწილეობს. შაბათ-კვირას სულ 29 მატჩი იქნება: ოცი ჯგუფური და დანარჩენი პლეი ოფის.

წლეულს ქართველმა მოშვიდკაცეებმა რვიდან ოდენ ორ ეტაპზე გადაწყვიტეს ჩაუქობა. ორი კვირის წინ ფრანგულ ლიუნელში მეოთხე ადგილი დაიკავეს, მეორე ეტაპი კი ახლა ელით. ევროპული შვიდკაცას დასკვნითი ფინალური ეტაპი მოსკოვშია. 12 ევრორჩეულში მოსახვედრად ჩვენებს თბილისის შვიდკაცაზე ჯგუფიდან გასვლაც ჰყოფნით.

მოსკოვური შვიდკაცობა კი 15-16 ივლისს იქნება.

ერთიც, რაკი შარშან ჩვენებმა რუსეთის მთავარ ქალაქში მათთვის შეუფერებელი მე-10 ადგილი დაიკავეს, რაგბის საერთაშორისო საბჭომ ქართველები მსოფლიოს სერიიდან ამოაგდო. წლეულს დიდი შანსია, ჩვენებმა რეიტინგი გაიუჯობესეონ და მსოფლიო სერიებში დაბრუნება მოახერხონ. არადა, კლოდ სორელის დროს საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე მე-10 ადგილზე გავიდა და წინ მხოლოდ შვიდკაცას ჯადოქრები გაუშვა.

თბილისის შვიდკაცაზე ქართველებს „ხულიგანას“ მწვრთნელი მამუკა ტყეშელაშვილი და 13-კაცა ნაკრების მოძღვარი და აღიარებული მოშვიდკაცე კახა ალანია უთავკაცებენ. ლიუნელში ჩვენებს ეროვნული ნაკრების მენეჯერი ვასილ აბაშიძე მწვრთნელობდა.

A ჯგუფი	B ჯგუფი
საქართველო	საფრანგეთი
რუსეთი	გერმანია
უკრაინა	ლატვია
ბულგარეთი	მონაკო
აზერბაიჯანი	ისრაელი

17 ივნისი
აზერბაიჯანი — რუსეთი
ისრაელი — საფრანგეთი
საქართველო — უკრაინა
გერმანია — ლატვია
რუსეთი — ბულგარეთი
საფრანგეთი — მონაკო
საქართველო — აზერბაიჯანი
გერმანია — ისრაელი
უკრაინა — ბულგარეთი
ლატვია — მონაკო
რუსეთი — საქართველო
საფრანგეთი — გერმანია
უკრაინა — აზერბაიჯანი
ლატვია — ისრაელი
საქართველო — ბულგარეთი
გერმანია — მონაკო

18 ივნისი
რუსეთი — უკრაინა
საფრანგეთი — ლატვია
ბულგარეთი — აზერბაიჯანი
მონაკო — ისრაელი

პლეი ოფები
ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო თასისთვის ნახევარფინალში ჯვარედინად ხვდება ერთმანეთს, ჯგუფში ჩარჩენილები 5-10 ადგილებს გაითამაშებენ

არა, ძმაო, ეგეთი საქმე...

სტავროპოლელმა სამჭკუაშვილებმა რაგბი დაიჭირეს

ეს თავშესაქცევი ამბავი, რომელიც ბი-ბი-სიმ რია-ნოვოსტიზე დაყრდნობით გაავრცელა, სტავროპოლში ერთ-ერთი ავტომობილების ბაზრის ახლობლად მოხდა.

ვიღაცამ მილიციის განყოფილებაში დარეკა, აქ ერთი ამბავია, ჯანიანი კაცები ერთმანეთს დაერივნენ და დიდი ბრძოლა აქვთო. მილიციელთა 73-კაციანი რაზმი ქალაქის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მეთაურობით უმალ „შემთხვევის ადგილზე“ გაჩნდა. მათ მართლაც დიდი შეხლა-შემოხლა დაინახეს. მილიციელებმა ერთმანეთს დატაკებულთა ხელში იხილეს რაგბის ოვალური ბურთიც, რომელიც იმ „ჩხუბში“ ფეხბურთის გაჭყლეტილი ბურთი ეგონათ.

ერთმანეთს, ვოლგოგრადის ოლქისა და სტავროპოლის მხარის გუნდები ხვდებოდნენ, მაგრამ მილიციონერები ამ საქმის ბაიბურში არ აღმოჩნდნენ და სპორტული პაექრობა ჩხუბად ჩათვალეს. ჰოდა, ყველანი, იქ მყოფი 91-ივე კაცი, მათ შორის გულშემატკივრებიც დაკავეს და განყოფილებაში მიაბრძანეს.

ერთი ეგ იყო, სტავროპოლელმა სამჭკუაშვილებმა რუსულ კანონში ამგვარი „შეხლა-შემოხლის“ თაობაზე ველარაფერი ამოიკითხეს და იძულებული გახდნენ, მორაგბეები გაეთავისუფლებინათ.

ავთანდილ ბუკვიშელი

The Finals

13 ივნისი. მაიამი. „ამერიკან ეალაინზ არენა“. 20 145 მაყურებელი

დალასი 2:0 მაიამი

ვანდერვეიდი

ბიჭმა მაიამი მოასულიერა

მაიამი 98:96 დალასი
29:21 23:22 16:34 30:19

მაიამი: უილიამსი (12), ვეიდი (42 ქულა, 13 მოხსნა), უოლკერი (12), ჰასლემი (8 ქულა, 11 მოხსნა), ონილი (16 ქულა, 11 მოხსნა); პოუზი (4), პეიტონი (2), მურნინგი (2)

დალასი: ტერი (16), გრიფინი (2), ჰოვარდი (21), ნოვიცკი (30), დიოპი; დამპიე (14), ჰარისი (9), სტეკჰაუსი (4), ვან ჰორნი, დანიელსი

AFP მაიამიდან

უეინ ვეიდმა დირკ ნოვიცკის „დალასი“ დაამდაბლა

მატჩის დამთავრებამდე ექვს წუთზე ცოტა მეტი რჩება და „მაიამი“ 89:76 აგებს. სწორედ ის დრო და სიტუაციაა, პესიმისტებმა ხელი ჩაიქნიონ, ყველაფერი დამთავრდაო. „მაიამი“ ისედაც 0:2 ჩამორჩება „დალასს“. ამ, მესამე შეხვედრასაც წააგებს და ყველაფერიც მორჩება. ფინალში 0:3 ჩამორჩენა აქამდე არავის დაუძლევია. თუმც მხოლოდ პესიმისტები კი არ ფიქრობენ ასე. ეს სიტუაცია „მაიამის“ ყველაზე ოპტიმისტ ქომაგებსაც შეურყევს რწმენას. მხოლოდ სასწაული თუ უშველის ფლორიდელებს, ეს 13-ქულიანი დეფიციტი ამოუღოს სეზონის უდავოდ საუკეთესო გუნდ „დალასს“.

მაგრამ არსებობს სასწაული! კალათბურთში ადრე მას მაიკლ ჯორდანი ერქვა, ახლა კი დუეინ ვეიდის სახით მოევლინა ლამის ცალი ხელით გაჩემპიონებულ „დალასს“. „მაიამის“ 24 წლის ლიდერი, მცირედ სურდო და ტრავმაშეპარული დუეინ ვეიდი მანამდეც ჩაუქად ბურთაობდა და შეიძლება ითქვას, დალასელები მხოლოდ მას ვერ უხერხებდნენ ვერაფერს. ახლა კი ვეიდმა სულ აიწყვიტა და დირკ ნოვიცკის და კომპანიას მარტომ გამოჰგლიჯა მოგება, რითაც „მაიამის“ სიცოცხლე შეუნარჩუნა, ფინალს კი — ინტრიგა.

იმ ეპიზოდიდან მოყოლებული, ვეიდმა 2 წუთის განმავლობაში ზედიზედ 8 ქულა გააკეთა, 4 მისი თანაგუნდელი და 5 მოწინააღმდეგე მოედანზე აქეთ-იქით მორბენალი ცხრა კაცი კი მის თამაშს პირდაღებული უყურებდა. ოდნავ მოგვიანებით ვეიდმა ნოვიცკის აცილებულს პირითი ხაზიდან თავხედური გარღვევის შემდეგ კიდევ ორი ქულით რომ უპასუხა, „დალასს“ 13-ქულიანი სხვაობიდან ბევრიც აღარაფერი შერჩა — 91:88 სტუმრების სასარგებლოდ. მატჩის დამთავრებამდე 3,36 წუთი რჩებოდა და ახალგაზრდა ლიდერის გმირობებმა მასპინძლები ისეთ იშტაზე მოიყვანა, ახლა უკვე „დალასი“ უნდა ყოფილიყო სასწაულის იმედზე, ეს 3-ქულიანი სხვაობა რომ შეენარჩუნებინა

მაგრამ „დალასმა“ ვერ მიუსწრო თავის მატარებელს... მაშინ, როცა სულმობრუნებულ მაიამელებს უკვე ყველაფერი იოლად და თავისთავად გამოსდიოდათ. თვით შაკილ ონილმაც კი, რომელმაც წინა ორ თამაშში 16 საჯარიმოდან 14-ის აცილება მოახერხა, ახლა ბოლოსწინა წუთზე ორიდან ორი ჩააგდო, ხოლო მანამდე მთელი შეხვედრის განმავლობაში უქულოდ მორბენალმა ვეტერანმა გერი პეიტონმა როგორც იქნა, სროლა გაბედა და საფინალო სირენამდე 9 წამით ადრე ზუსტი ორქულიანით 98:95 დააწინაურა „მაიამი“.

„დალასს“ თამაშის ხსნის ნახევარშანსი მიეცა, როცა 5 წამის შემდეგ დირკ ნოვიცკი საჯარიმოს ხაზთან დადგა. ჩუბინმა გერმანელმა პირველი ჩააგდო, მეორე კი შეგნებულად ააცილა ბურთის ფარზე მოპოვების და მისი ორქულიანად გარდასახვის იმედით, მაგრამ ფანდმა ვერ გაჭრა, ისევ და ისევ ვეიდის მეცადინეობით ბურთი მასპინძლებს დარჩათ და მათ სტუმრებს ის დარჩენილი ორიოდ წამით მოპარეს.

უფლება არ გვქონდა, ასეთი კარგი სეზონი ასე ულიმღამოდ დაგვესრულებინაო, თქვა ნამატჩევს ვეიდმა. მისი ვება თანაგუნდელი შაკილ ონილი კი იტყვის — ჩვენ ორნახევარი საზიზღარი თამაში გვქონდა, მაგრამ გადავრჩით და ახლა შესანიშნავი შანსი გვაქვს, შეტოქე მოგებული თამაშის წაგებისთვის უფრო მეტად დავსაჯოთო.

ვნახოთ, მეოთხე თამაშსაც მაიამი მასპინძლობს 15 ივნისს, ისევე, როგორც მეხუთეს — 17 ივნისს.

AFP მაიამიდან

მაიამური მატჩი ანა კურნიკოვამაც გაამკერდმშვენიერა

კოტე ყორშია

ბასკებმა ალპები დაზვერეს

ვალვერდე პირველობას არ თმობს

ბასკური დუელი ალპებში: ალეხანდრო ვალვერდე და იბან მაიო

სეზონის უმთავრესი ველორბოლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე სულ უფრო და უფრო მცირე დრო რჩება და რჩეული მრბოლები უკანასკნელ, ყველაზე აქტიურ სამზადისში არიან, რათა ოპტიმალურ ფორმაში შეხვდნენ პოსტარმსტრონგული „ტურის“ დაწყებას.

გასულ კვირას საფრანგეთში რიგით 58-ე „დოფინი ლიბერე“ დასრულდა — მეტად პრესტიჟული ერთკვირიანი რბოლა, რომელიც „ტურის“ გენერალურ რეპეტიციად ითვლება. რბოლა ამერიკელმა ლევი ლეიფემერმა მოიგო და ამით, ყოველ შემთხვევაში, ამერიკული მასშტაბით, დიადი ლენს არმსტრონგის მემკვიდრეობაზე გააკეთა პრეტენზია. ლეიფემერი, ალბათ, „ტურ დე ფრანსზეც“ მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება, მაგრამ, არა უმთავრესი. „დოფინი ლიბერეზე“ კი უფრო ყურადსაღები სხვა რამ იყო. მაგალითად, რობერტო ერასის დისკვალიფიკაციის შემდეგ, შარშანდელი „ვუელტას“ გამარჯვებულად მიჩნეული რუსი დენის მენშოვის მოგება ლეგენდარულ ვანტუს მთაზე და ესპანელი იბან მაიოს დაბრუნება. 2003 წლის „ტურის“ ერთ-ერთი გმირი მთელი შარშანდელი სეზონი ჩრდილში იყო, მაგრამ „დოფინი ლიბერეს“ ალპურ ეტაპზე გამოჩნდა, რომ ის მთებში ჯერაც საშიშია — მაიომ ბასკურ დუელში აჯობა ალეხანდრო ვალვერდეს და მეტად შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა.

ვალვერდე ვახსენეთ და ეს ბასკი, რომელიც კვლავაც დიდი უპირატესობით ლიდერობს პრო-ტურის საერთო ჩათვალში, „ტურ დე ფრანსის“ ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. ისევე, როგორც გერმანელი იან ულრიხი, რომელიც ამ დღეებში „შვეიცარიის ტურში“ ასპარეზობს და იქ გადის „დიდი მარყუჟისწინა“ ბოლო მოსამზადებელ ეტაპს.

შვეიცარიაში უკვე ხუთი ეტაპი მიილია, თუმცაღა მთები ჯერ წინაა და სავარაუდო გამარჯვებულზე საუბარი ნაადრევია. მეხუთე ეტაპი კი სეზონის საუკეთესო სპრინტერმა, პრო-ტურის კლასიფიკაციაში მესამე ადგილზე მყოფმა ბელგიელმა ტომ ბოონენმა მოიგო.

პრო-ტურის კლასიფიკაციაში ვალვერდესა და ბოონენს შორის წლევანდელი „ჯიროს“ მომგები ივან ბასოა. მოახლოებული „ტურის“ უმთავრეს ფავორიტად, სწორედ, ეს იტალიელი მიიჩნევა.ამ წუთისთვის ბასო საფრანგეთის ალპებშია და იქ ინდივიდუალურად ემზადება წლის უმთავრესი რბოლისთვის.

პრო-ტურის კლასიფიკაცია

მრბოლები: 1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) — 195 ქულა; 2. ივან ბასო (იტალია, CSC) — 138; 3. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი) — 129; 4. ალესანდრო ბალანი (იტალია, ლამპრე) — 105; 5. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) — 100; 6. პატრიკ სინკევიჩი (გერმანია, T-მობაილი) 90; 7. სამუელ სანჩეს-გონსალესი (ესპანეთი, ეუსკალტელი) — 89; 8. ფაბიან კანსელარა (შვეიცარია, CSC) — 87. 9. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) — 86; 10. პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკავერი) — 85

გუნდები: 1. CSC (დანია) — 190; 2. ილეს ბალეარსი (ესპანეთი — 176); 3. T-მობაილი (გერმანია) — 174; 4. ფონაკი (შვეიცარია) — 172; 5. ლამპრე (იტალია) — 163

ქვეყნები: 1. ესპანეთი — 500; 2. იტალია — 498; 3. გერმანია — 232; 4. ბელგია — 221; 5. აშშ — 200

ოქრო ხალიჩაზეც ჩხრიალებს

რევაზ მინდორაშვილი

23-25 ივნისს ბაქოში საჭიდაო „ოქროს ლიგის“ სერიის ყველაზე პრესტიჟული, დასკვნითი ეტაპი გაიმართება. ხალიჩაზე ევროპის საუკეთესო ფალავნები გავლენ და მედლების გარდა საპრიზო თანხის გამომუშავებასაც შეეცდებიან. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ შარშან შემოღებულ სუპერტურნირში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა აქამდე ორ-ორჯერ მიიღეს მონაწილეობა. ტაშკენტსა და სტამბოლში ნაყოჩაღარმა სპორტსმენებმა ფინანსური მოგებაც ნახეს და ბაქოს საგზურებიც გაინაღდეს.

„ოქროს ლიგის“ დასკვნით ტურნირზე მედალოსანი ოთხეული 5 ათას, 3 ათას და ათას დოლარს გაინაწილებს. წინა ტურნირებზეც ასე იყო, ოღონდ მაშინ გარკვეულ თანხას მეოთხე-მერვე ადგილებზე გასულებიც იღებდნენ.

ქართველთაგან აზერბაიჯანულ ხალიჩაზე გასვლის უფლება სამმა ბერძენ-რომაელმა და ხუთმა თავისუფალმა მოიპოვა. ირაკლი ჭოჭუა (55კგ), შალვა გადაბაძე (74კგ) და შმაგი სალთხუციშვილი (84კგ) ბაქოში 20-ში ჩავლენ და 23-ში იჭიდავებენ. ხოლო გელა საღირაშვილი (74კგ), რევაზ მინდორაშვილი (84კგ), გიორგი გოგშელიძე (96კგ), ლუკა კურტანიძე და ლექსო მოდებაძე (ორივე +120) 22-ში ჩავლენ და მესამე დღეს იჭიდავებენ.

აზერბაიჯანამდე თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს რუსეთშიც ელით ერთი დიდი ტურნირი, თუმც იმის გამო, რომ შუალედი სულ რაღაც რამდენიმე დღეა, თურმანიძის ლიგური ხუთეული ორივეგან გამოსვლას ვერ მოასწრებს.

ხასავიურტის ტრადიციულ საერთაშორისო პირველობაში საქართველოს ნაკრები ცოტა შესუსტებული შემადგენლობით დღეს საღამოს აპირებს გამგზავრებას, მაგრამ საერთოდ თუ შეძლებს წასვლას, დღეს დილით უნდა გადაწყდეს. სავიზო პრობლემების გამო ზაზა თურმანიძე გუშინ ღამემდე ჯერ კიდევ გაურკვევლობაში იყო.

ცნობისთვის, რიგიანი ჭიდაობა ხასავიურტის ხალიჩაზეც რიგიანად ფასობს. რუსეთის ჭიდაობის ფედერაციამ ძლიერი მოჭიდავეების მისაზიდად საპრიზო ადგილებზე „ოქროს ლიგის“ სადარი პრემიალურები დააწესა.

ოთარ ბაღლაკელიძე

AFP

ნეტარი მიხაელი

შუმახერს ჩემპიონობის ჯერ კიდევ სჯერა

გასულ კვირას ინგლისში, სილვერსტოუნის ტრასაზე წარუმატებლობის შემდეგ, როცა მიხაელ შუმახერი სათოფეზეც ვერ მიეკარა ფერნანდო ალონსოს და მეორე ადგილს დასჯერდა, ტიტულის უმთავრეს პრეტენდენტებს შორის სხვაობა უფრო გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, გერმანელი სუპერჩემპიონი უიმედობას არ უჩივის: „წინ კიდევ ათი რბოლაა, რომლებშიც ასი ქულა გათამაშდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ალონსოსთან 23 ქულას ვაგებ, საჩემპიონო ბრძოლას დასრულებულად არ ვთვლი. ფერნანდომ წარმატებას სეზონის პირველ ნახევარში მიაღწია, ხოლო ჩვენი პროგრესის შემთხვევაში არაა გამორიცხული, „რენოს“ ამ უპირატესობის დაკარგვა — ასე ვფიქრობ მეც და ჩემი გუნდიც. საამისოდ კი აუცილებელია, „ფერარი“ ფერნანდოსა და „რენოზე“ სწრაფი გახდეს.“

ცხადია, წარმატებისგან მეცხრე ცაზეა ალონსო: „ჯერჯერობით სეზონი ფანტასტიკურად მიმდინარეობს. ჩვენი მანქანა ყველაზე სწრაფია, ჩინებულად მუშაობს და არანაირი პრობლემა არ გვაწუხებს. რვა რბოლიდან ხუთი მოვიგე, სამჯერ კი ფინიშთან მეორე ვიყავი — შესანიშნავი შედეგია და მჯერა, მეორე ტიტული არც ისე შორსაა.“

მეფორმულეებს ათი დღის შემდეგ, ივნის-ივლისის გასაყარზე, ორი „გადაბმული“ ეტაპი ელით კანადასა და აშშ-ში. სწორედ, ოკეანისგაღმა ეიმედებათ ფერარელებს წარმატებისა.

როგორც იქნა, საბოლოოდ ჩაწყნარდა მიხაელის მონტე კარლოში სამარცხვინო მანევრის გამო ატეხილი სკანდალი. შეგახსენებთ, კვალიფიკაციის ბოლო წამებზე შუმის „ფერარი“ შუა გზაზე გაუჩერდა, რამაც უკან მავალთ შედეგი გაუფუჭა. მიუხედავად იმისა, რომ შუმახერმა მომხდარზე საჯაროდ მოიხადა ბოდიში, მანქანა განგებ არ გამიჩერებიაო, „დიდი პრიზის მრბოლთა ასოციაციის“ წევრებმა სილვერსტოუნში შეხვედრისას მკაცრად ისაუბრეს ასოციაციის პრეზიდენტ მიხაელის ამ არაკოლეგიალურ საქციელზე. თუმც ეს უფრო პროფილაქტიკური ღონისძიება იყო და ამდენად, „წითელი ბარონი“ პრეზიდენტობიდან არ გადაუყენებიათ.

ამ ლმობიერებამ გააწყნარა მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი ჟაკ ვილნევი, რომელიც პროტესტის ნიშნად გამოვიდა მძღოლთა პროფკავშირიდან, მაგრამ მხოლოდ ახლა, სამი დღის შემდეგ გაახმოვანა თავისი პოზიცია: „არ მომწონს, რომ ასოციაციას მეთაურობს მრბოლი, რომელიც ტრასაზე აშგვარად იქცევა. არ მესმის და არ ვიღებ ასეთ ხელმძღვანელობას, ამიტომაც ვტოვებ პროფკავშირს. მე ვხელმძღვანელობდი მხოლოდ პირადი მოტივებით, ამ გადაწყვეტილებაზე არავისთან მიმსჯელია და ამასთან, ეს არ გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ზოგადად ასოციაციის მიმართ.“

35 წლის კანადელისთვის ეს ამ დღეებში ერთადერთი უსიამოვნება იყო, თორემ სილვერსტოუნში უქუ-ლოდ არ დარჩენილა, მანამდე კი, როგორც იქნა, დაქორწინდა. ჟაკი და მისი მომხიბვლელი მეუღლე ჯოანა მარტინესი შვეიცარიაში, სიმის ვილაში იცხოვრებენ.

ამასობაში კანადურ-ამერიკული ტურნეს წინ გუნდებმა იტალიაში „მონცას“ ტრეკზე ტესტები დაიწყეს. ათი პილოტი ძირითადად ჩრდილოამერიკული ეტაპებისთვის დამზადებული ახალი საბურავების გამოცდითაა დაკავებული.

პირველ დღეს ყველაზე სწრაფი ჯანკარლო ფიზიკელა „რენო“ იყო, მას წამის მეათედით ჩამორჩა ნიკ ჰაიდფელდის „BMW-ზაუბერი“, მესამე დრო სათადარიგო რენოელს, ჰეიკი კოვალაინენს ჰქონდა.

გია ახალაძე

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
არჩილ ალავიძეს
მამის
გარდაცვალების გამო

პარიზი-ჰალე-უიმბლდონი

როჯერ ფედერერი ნაცნობ გზას არ ღალატობს

კაცები
ჰალე. გერმანია
ბალახი
საპრიზო 800 000 $

პირველი წრე

რიშარ გასკე (საფრანგეთი) — **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) 6:2 6:3; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) 7:6 6:3; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — **მარკოს ბაღდატისი** (4, კვიპროსი) 7:6 6:3; **ტომი ჰაასი** (6, გერმანია) — **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) 6:4 7:5; **მარკო ჩიდინელი** (შვეიცარია) — **კრისტოფ როხუსი** (ბელგია) 6:3 6:4; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — **ბიორნ ფო** (გერმანია) 7:5 1:6 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (5, ჩეხეთი) — **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) 6:4 6:3; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) 7:6 6:2

კაცები
„სტელა არტუა“ (ქუინს კლაბი)
ინგლისი. ბალახი
საპრიზო 800 000 $

პირველი წრე

მარდი ფიში (აშშ) — **ჯეიმი ბეიკერი** (ბრიტანეთი) 6:1 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი** (15, რუსეთი) — **ალექს ბოგდანოვიჩი** (ბრიტანეთი) 7:6 6:4; **ნიკოლა მაჰუტი** (საფრანგეთი) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) 6:4 6:1; **რობი ჯინეპრე** (9, აშშ) — **პოლ გოლდსტინი** (აშშ) 3:6 7:5 6:1

მეორე წრე

ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) 7:5 6:1

ანდრე აგასიმ საბალახო სეზონი წაგებით დაიწყო

„როლან გაროსული“ ციებ-ცხელება ჯერაც არ მინელებულა და ჩოგბურთელები იძულებულები არიან, კიდევ ერთი დიდი ფორუმისთვის, წლის ყველაზე პრესტიჟული ტურნირისთვის — უიმბლდონისთვს დაიწყონ მზადება. მათ ხომ ინგლისის საჩოგბურთო კლუბის კორტებზე გასვლა სულ რაღაც 12 დღეში მოუწევთ.

ბალახზე კარგი თამაშით ისედაც ბევრი ვერ დაიკვეხნის, ხოლო დღესდღეობით არსებული განრიგის მიხედვით ჩოგბურთელებს საკმარისი დროც არ რჩებათ ამ ახალ საფართან შესაგუებლად. ამიტომაც არის, რომ წლიდან წლამდე ბალახის სპეციალისტთა ჩამონათვალში იშვიათად გამოერევა ხოლმე ახალი გვარი.

ტრადიციული წინასაიუმბლდონო ტურნირები დაიწყო გერმანულ ჰალესა და ლონდონთან მდებარე ქუინსში. როგორც წესი, კაც ჩოგბურთელთა უმეტესობა ამ ტურნირებზე ცდილობს ბალახზე თამაშის სპეციფიკის გათავისებას.

ტრადიციად აქცია თავისი ჰალეში ჩასვლა ბალახის უმთავრესმა სპეციალისტმა, ბოლო სამი უიმბლდონის მომგებმა და წლევანდელზე გამარჯვების მთავარმა პრეტენდენტმა როჯერ ფედერერმა. ანდა რატომ უნდა შეეცვალა რამე შვეიცარიელს, რომელმაც ჰალეში წარმატებული თამაში უიმბლდონზე ტრიუმფალური გამოსვლების პრელუდიად აქცია. „მხიარული როჯერი“ ეცდება, მალე დაივიწყოს პარიზული უსიამოვნებები და იქ დაკარგული ჯერ ჩრდილო გერმანიაში, შემდეგ კი ინგლისში აინაზღაუროს.

სანამ ფედერერი ორთაბრძოლაში ჩართულა, მანამდე ჰალეში სხვებმა დაიწყეს. ჩატარებულ თამაშებიდან მარატ საფინის გამარჯვება უნდა აღინიშნოს: თითქმის ერთთვიანი შესვენების შემდეგ რუსმა გაიხსენა მოგების გემო და იქნებ ბოლოს და ბოლოს დაიბრუნოს ძველი კონდიციები. თუმც მარატმა ფლორენ სერასთანაც ძალიან ცუდად დაიწყო და 1:4-საც აგებდა, მაგრამ შემდეგ მოახერხა ნორმალურად ათამაშება და გამარჯვება ორ სეტში გაიფორმა.

„თავიდან თამაშის რიტმში ვერ ჩავჯექი. მაგრამ მერე ნელ-ნელა ბალახსაც ავუღე ალღო და მეტოქის თამაშსაც. კარგია ეს გამარჯვება, თორემ ამდენი წაგებებით უკვე დავიღალე“ — განაცხადა ნამატჩევს საფინმა, რომელსაც შემდეგ წრეში თავისთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქე, ბელგიელი ქონდრისკაცი ოლივიე როხუსი ელის (160 სანტიმეტრია).

სამაგიეროდ, წააგო მეორე რუსმა მიხაილ იუჟნიმ. ის ვეტერანი ფაბრის სანტოროს ეშმაკურმა კომბინაციებმა ისე დაბნია, რომ კორტზე მთვარეულივით დარბოდა.

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტი და წლის ლამის უმთავრესი სენსაცია მარკოს ბაღდატისი კი, როგორც ჩანს, ბლახის დიდი მოძულე ყოფილა — მან ანდრეი პაველთან უშანსოდ წააგო.

ქუინსში კი ჯერ ხეირიანად არც გახურებულან და წვიმამ უკვე კორექტივები შეიტანა ჩოგბურთელთა სათამაშო განრიგში. წესით და რიგით, ეს „სიამოვნება“ არც უიმბლდონზე უნდა მოგვაკლდეს.

გაწვიმებამდე მოსწრებული თამაშებიდან კი ჯეიმს ბლეიკის კარგი სტარტი უნდა აღინიშნოს, რომელიც წლეულს საკმაოდ სტაბილურია. ამჯერად მან თანამემამულის ძვლებზე გადაიარა — მართალია, ჯასტინ გიმელსტობმა ბევრი იწვალა და ბადესთან ერთიორი საცირკო კულბიტიც შეასრულა, მაგრამ ბლეიკთან მაინც ვერაფერს გახდა. პირველ წრეში დამარცხდა ანდრე აგასი. დიდი ხნის უთამაშებელმა ჯადობერიკაცმა ასევე ვეტერან ტიმ ჰენმანთან დამო ორსეტიანი მატჩი.

კახა ლომაშვილი



ოლსონი ახტა, დახტა და საკუთარ თავს გადაახტა

სამხრეთ შვედეთის მომცრო ქალაქ კარლსკრუნაში ღიდ-ძალი მაყურებელი შეყარა ქვეყნის ჩემპიონატმა. არაერთი ცნობილი მძლეოსნის გამოსვლა დიახაც იპყრობდა კარლსკრუნისა და მისი მიმდებარე დაბა-სოფლების მოსახლეობის ყურადღებას, ვარსკვლავოვან მსოფლიოს უძლიერესი შვიდჭიდელი ქალის კაროლინა კლუფტის ხსენებაც კმარა, მაგრამ ტრიბუნები ყველაზე მეტად სულ სხვა ვარსკვლავის ნახვის სურვილით იწვოდნენ.

კრისტიან ოლსონი დაუბრუნდა სახტომ სექტორს! ვისაც ეს სახელი არაფერს ეუბნება, მონდომებით შევახსენებთ, რომ ოლსონი ლეგენდარული ბრიტი სამხტომელის ჯონათან ედვარდსის სპორტიდან წასვლის შემდეგ გამეფდა ამ სახეობაში და 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე ყველაფერს სამი კი არა, ლამის ორი ნახტომით იგებდა. ათენში ოლიმპიადის პირველივე ეტაპზე კი კოჭი ამოიბრუნა და მისი ორწლიანი უიღბლობაც აქედან დაიწყო. ოლსონს ოპერაციებიც არ შველოდა, არადა, ერთბაშად ოთხი გაიკეთა. უკვე აღარც სჯეროდა, რომ სერიოზულად დაუბრუნდებოდა სპორტს და უმაღლეს დონეზე გამოსვლას შეძლებდა. მაგრამ, აი, ის დაბრუნდა და ყველას გასაკვირად ტრავმებით დამძიმებული ბერიკაციკით სადღაც უკანა რიგებში კი არ დგას, არამედ ტურნირს იგებს და თან შესანიშნავი მაჩვენებლით.

კარლსკრუნაში ოლსონი პირველივე ცდის შემდეგ 17 მეტრის იქით დაეშვა და მის სანახავად მისულ ათასობით მაყურებელს ჰალალი ტაში მოსწყვიტა. მისი საუკეთესო შედეგი იყო 17,09 მეტრი.

„ეს ტურნირი ჩემთვის ერთ-ერთ უძნელესად ჩაითვლება — ამბობს ოლსონი — რაკი ამდენი ხანი მაღალ დონეზე არ გამოვსულვარ და თუმც ფეხები კარგ ფორმაში მაქვს, ჩემში რაღაც-რაღაც ბარიერების დაძლევა, ალალად გეტყვით, გამიჭირდა. ახლა იმედი მაქვს, საკუთარი თავის რწმენას დავიბრუნებ და ძალიან ბევრს ვიმუშავებ, რათა 17,30 ნიშნულს მივუახლოვდე.“

კოტე ყორშია

ცუდი და კარგი

ანა ტატიშვილი აზიას გაუშინაურდა

ცუდი ამბით დავიწყოთ — ირაკლი ლაბაძემ ტრავის გამო უარი თქვა შვეიცარიის ქალაქ ლუგანოს 100 ათასიან ჩელენჯერზე თამაშზე. ქართველი ტურნირის ძირითად ბადეში იყო და პირველ წრეში მექსიკელ სანტიაგო გონსალესს უნდა შეხვედროდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ რამდენიმე კვირის წინ მიღებული ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და შედეგად, ჩვენებურის ადგილი მავანმა ესპანელმა ხუან-ალბერტ ვიკოლამ დაიკავა და გონსალესს 6:1 6:2 სძლია კიდეც. ცუდია ისიც, რომ ამერიკული ალენტოუნის ჰარდზე მიმდინარე 2 ათასიანი ტურნირის პირველივე წრეში დამარცხდა იქ მე-6 ნომრად განთესილი სოფო მელიქიშვილი, ვისაც კორტის მასპინძელმა, კრისტინა ფუზანომ სამ სეტში 5:7 6:3 6:0 მოუგო.

ალენტოუნში მოთამაშე მეორე ქართველი სალომე დევიძე, ვინც ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით მოხვდა, პირველ წრეში კოლუმბიელ პაულა საბალას ხვდება.

ახლა კი კარგი ამბების შესახებ: კვლავ გვახარებს ქართული ჩოგბურთის ყველაზე დიდი იმედი ანა ტატიშვილი, რომელიც ხანგრძლივ აზიურ ტურნეში იმყოფება და ამ დღეებში სამხრეთკორეული ინჩეონის ჰარდზე ცდის ბედს. 25 ათასიანი ტურნირის პირველ წრეში ანამ სამ სეტში 6:4, 3:6, 6:3 მოუგო კორტის მასპინელმი იოოს. მეორე წრეში ქართველის სავარაუდო მეტოქე პირველ ნომრად განთესილი იაპონელი იუნრი ნამიგატაა, ვისთანაც ტატიშვილმა ამ რამდენიმე კვირის წინ წააგო.



გამარჯვებით დაიწყო იტალიის ქალაქ მორიცაში მიმდინარე, ასევე 25 ათასიან ტურნირზე თამაში ჩვენი ქალთა ჩოგბურთის ლიდერმა მაკა ჩახნაშვილმა, რომელმაც ორ სეტში 6:4, 6:3 სძლია ახალზელანდიელ მარინა ერაკოვიჩს.

გია მუჯირი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00